[illegible] სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 141 ოთხშაბათი, იანვრის 10 (23) 1918 წ. № 141

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო.

**დამფუძნებელი კრების სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს: ირაკლი წერეთელმა, სკობელევმა და სხვებმა.—ბოლშევიკებმა მშრომელი ხალხის უფლებათა დეკლარაცია გამოაქვეყნეს.—ბრესტ-ლიტოვსკში ჰოფმანმა განაცხადა დაპყრობილ ტერიტორიის დაბრუნებაზე ლაპარაკი ეოვლად შეუძლებელიაო.—უკრაინის ცენტრ. რადამ უკვე დაიწყო საზავო მოლაპარაკება ცენტრალურ სახელმწიფოების მთავრობებთან.—კავკავში დიდი არეულობაა: მეხუთე დღეა ყაზახებსა და ინგუშებს შორის ბრძოლა სწარმოებს.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15X2 ღირს 8 მან., 20X2 ღირს 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ყ. თავართქილაძისეული „ნადგვდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფ ა ს ი 20 კ ა პ.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო საქმე"-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: *Тифлисъ, ред. „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190,*

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დილისით არის ღია.

ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

ქართ. დრამ. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 26.
ხუთშაბათს, 11 იანვარს, 1918 წ.
ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარ. იქნება:
მ ე ს ა მ ე დ არციბაშევის
ო მ ი
4 მოქ. თარგ. ალ. იმედაშვილისა
მონაწილეობს მთელი დასი.
დასაწყისი საღამოს 8 ს. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ქიათურის უმაღლეს დაწყებითი სავაჟო სასწავლებლისათვის საჭიროა
ხაზვა-ხატვის მასწავლებელი

პირობები: ჯამაგირი 1800 მ., სამხედრო დამატება 1200 მ., ხუთწლიანი დამატებები. გაკვეთილების რიცხვი 22 კვირაში. თხოვნები საცენზო დოკუმენტითა და კურიკულუმ ვიტე უნდა გაიგზავნოს სასწავლებლის ინსპექტორის სახელობაზე 15 იანვრამდის. 2280

ახალი სკოლა-პანსიონი
მ. ერისთავისა სოფ. დოესში. მიიღება მოწაფეები მოსამზადებელ 2 და 3 კლასებში.
ამზადებენ როგორც ქართული ისე რუსული გიმნაზიებისათვის. მისამართი დავიდოვის ქუჩა № 43, კნ. რუსიევისას 4—7 საათამდის.

1918 წლის პირველ იანვრიდან
მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალ
„პრომეთე"-ზე
ხელის მოწერის პირობები ჯერ-ჯერობით შემდეგია: ჟურნალი სამი თვით ეღირება 9 მანეთი, ცალკე ნუმერი 3 მან.
ჟურნალის უახლოეს თანამშრომლებად მოწვეული არიან:
აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კოწია გამსახურდია. გამომცემელი: ისიდორე ხტურუა.
ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„სახალხო საქმის" კონტორაში ნინო ნეიმანთან; „სახალხო საქმის" სტამბაში დ. მგალობლიშვილთან; ქუთაისში „ხალხის მეგობრის" რედაქციაში გიგლა მებუკესთან და თინა გვეტაძესთან. ხონში ბაბილინა ხაინდრავასთან; ჭიათურაში ნინო დგებუაძესთან; გორში სიმონ მაჭავარიანთან; თელავში სიმონ წერეთელთან.
ჟურნალის დასაკვეთი ფული და აგრეთვე მასალა ჟურნალისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართით: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „პრომეთეს" რედაქციას.

აკაკის სახელობის საზაფხულო ბაღში,
რომელიც მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში მეთადინეობა განახლდა. ბავშვების მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილით 10—2 საათამდის. 1016

ამიერკავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ბანკის ბინაზე ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, ტელ. № 5—26).
14 იანვარს 1918 წ. დღის 12 საათზე
დანიშნულია მეორეთ აქციონერთა არაჩვეულებრივი კრება
შემდეგი საკითხების გასარჩევად: 1) ძირითადი თანხის გადიდება და 2) განყოფილებების გახსნა.
შენიშვნა: ეს კრება, როგორც მეორედ მოწვეული, წესდებისა § 67 თანახმად კანონიერად ჩაითვლება, რამდენი აქციონერიც უნდა დაესწროს. იმავე შენობაში და იმავე რიცხვს დღის ორს საათზე დანიშნულია ბანკის აქციონერთა პირველი არაჩვეულებრივი კრება, სარევიზიო კომისიის ორი წევრის ასარჩევად.
შენიშვნა: სახელდებულ აქციათა პატრონთ კრებაზე ხმის უფლება ექნებათ, თუ ისინი აღნიშნული იქნებიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე. 2251

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.
დღეს, 10 იანვარს, გაიმართება
გრანდიოზული ბენეფისი
და 10 წლის იუბილე ცნობილ სპორტსმენის პეტრე ნიკოლოზის ძის ელიზაროვის სასპორტო მოღვაწეობის აღსანიშნავად. დღეს ელიზაროვი ახალ კუპლეტებს და მონოლოგებს იტყვის სადღეისო საკითხებზე. დღეს გაიმართება გრანდიოზული მატჩი ინგლისური ბოქსის საუკეთესო ბოქსიორებს შორის: საუკოვისა და ელიზაროვის (პრემია 100 მანეთი). ჭიდაობს 5 წყვილი: 1. ორი ყოფილი ნიღაბის შეხვედრა: ალბერტ რაბგოსი და ვანიოვ ადამოვიჩის, 2. სპევაჩეკი და ზაგორუიკო, 3. ზბიშკო და სტერსი, 4. შედელაური და დობრინინა, 5. ზამუკოვი და როლანდი. 44

**ტფილისი, 10 იანვარი 1918 წ.**

**მაჰმადიან ქართველთა ყრილობა**

დღეისათვის ბათომში დანიშნულია სრულიად ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა. ამ ყრილობას დაესწრებიან, სხვათა შორის, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი და ჩვენი პარტიის დელეგატები, რომელნიც ახლანდელმა კონფერენციამ საამისოდ აირჩია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბათომის ყრილობას მთელ სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოსთვის. მომენტმა ყველა შემადგენელ ნაწილს ჩვენი ერისას დაუსვა საკითხი—ვისთან უნდა იყოს და როგორ უნდა იყოს. ხოლო გარდა ამ წმინდა პოლიტიკურ საკითხისა, რომელზედაც ლაპარაკს ყრილობა ვერ ასცდება, იგი უეჭველად შეეხება სხვა მორიგ საქმეებსაც, რომელთა მოგვარება უეჭველად საჭიროა.

ერთის შეხედვით პოლიტიკური საკითხი თითქოს ადვილი გადასაჭრელია. აჭარლები ჩვენი ღვიძლი ძმები არიან სისხლით და ხორცით, ზნე-ჩვეულებით წარსულით, ტკბილი ქართული ენით. ისინი დანარჩენ ქართველთაგან განსხვავდებიან მით, რომ სარწმუნოება აქვთ სხვაგვარი. ჩვენთვის, დღევანდელ ქრისტიან ქართველთათვის ჩვენს რელიგიას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და პირველობა. მაგრამ აჭარლისათვის რელიგიას განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს და ყველაფრის პრიმატია. აჭარლისთვის ამ უკანასკნელ დრომდე ეროვნება და სარწმუნოება ჰფარავდა და იგი თავის თავს „თათარს" ეძახდა. იმ უბედურებამ, აჭარას რომ დაატყდა 1914 წლის დამლევს უკან დახეულმა რუსის ჯარმა, ყველას ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა, რომ იღვრება სისხლი ჩვენის ძმებისა, ახრებენ ჩვენი ერის ნაწილს და მაშინ გაისმა საპროტესტო ხმა ქართველ ქრისტიანებისა: შესდექით, ესენი ჩვენი სისხლი და ხორცი არიან, მათი ტკივილი ჩვენი ტკივილია და მათი ჭირი, ჩვენი ჭირიო. ამ შემთხვევამ ძლიერ დაგვაახლოვა და აქ ჩვენ მაჰმადიან ძმებს ჩააგონა და აგრძნობინა, რომ თუმცა სარწმუნოებით განსხვავდებიან, ეროვნებით ქართველები არიან—მაგრამ შემდეგ დაიწყო იმათი ქადაგება, რომელთაც მოინდომეს ეს შეგნება დაეხშოთ მათთვის და თავიანთ მიზნებისთვის გამოეყენებინათ და ქართველ ქრისტიანებისადმი უნდობლობა დაეთესათ.

ბათომის ყრილობამ ანგარიში უნდა გაუწიოს შექმნილ მდგომარეობას. ქართველმა მოძმე მაჰმადიანებმა საბოლოოდ უნდა შეიგნონ, რომ მათ სარწმუნოებას არავითარი საფრთხე მოელის, ხოლო ეროვნულად მათი ჩვენთან კავშირია საჭირო. მაჰმადიან საქართველოს ყველა თავის ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად უნდა მიენიჭოს თვითმართველობა, რათა ჩვენმა მოძმეებმა თავის თავს თვითონვე მოუარონ. თავისუფალი, თვითმართველი სამაჰმადიანო საქართველო ავტონომიურ მთლიან საქართველოში—აი, ჩვენი დევიზი, რომელსაც უნდა ვეტრფოდეთ ყველანი. ბათომის ყრილობამაც ასე უნდა შეხედოს საკითხს. ეხლა კი ვუსურვებთ ჩვენს მოძმეებს სწორი გზის ალებას და საქმის ისე მოგვარებას, რომ არ იყოს დავიწყებული არც სარწმუნოებრივ, არც ეროვნული ინტერესი.

სალამი ჩვენს მოძმე მაჰმადიან ქართველებს, სალამი მათს ყრილობას!

ეს წერილი უკვე აწყობილი გვქონდა, როცა ბათომიდან ცნობა მოგვივიდა რომ ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა სხვა დროისთვის გადადებულა. ყოველ შემთხვევაში ის საკითხები, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი ფრიად მნიშვნელოვანია და ეხლა თუ არა ახლო მომავალში დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა შეგნებულმა მაჰმადიანმა თუ ქრისტიანმა ქართველმა.

## დამფუძნებელი კრება

**კრების გახსნის მოლოდინში.**

5 იანვარს, დღის 12 საათზე. თავრიდის სასახლესთან და მის ახლო მდებარე ქუჩებში დემონსტრაციები ჯერ არ დაწყებულა. ქუჩებში ჩვეულებრივი მოძრაობაა. სასახლეს სდარაჯობენ მეზღვაურები და წითელი რაზმელები. ჯარის კაცები არ სჩანს. თავრიდის სასახლეში დამფ. კრების წევრები მხოლოდ ბოლშევიკების კომისარის ურიცკის მიერ გაცემულ მოწმობით შედიან. წევრები ჯერ კომენდანტის დარბაზში ცხადდებიან, შემდეგ მათ სასახლის დარბაზში უშვებენ. ფრაქციებიდან, პირველად ბოლშევიკები გამოცხადდნენ, რომელნიც ჯერ-ხანობით მხოლოდ ასამდე იყვნენ. საზოგადო კრების დარბაზში ჯერ არავის უშვებენ: დასკ. კრების წევრებსაც აკრძალული აქვსთ იქ შესვლა. თავრიდის სასახლის შინა მოწყობილობა ვერ აღბეჭდავს იმ ბრძოლის სურათს, რომელიც დამფუძნებელი კრების გარშემო იმართება სასახლის შესავალში ტყვიის მფრქვეველებია ჩამწკრივებული, ხოლო სასახლის მოშორებით მსუბუქი იარაღები. ბოლშევიკები ყოველგვარ ზომებს იღებენ, რომ არ მოხდეს მანიფესტაციები, რომელიც ყველა სოციალისტურმა პარტიებმა და დამფ. კრების დაცვის კავშირმა გამოაცხადა.

**საგანგებო სამხედრო შტაბი.**

ბოლშევიკებმა საგანგებო სამხედრო შტაბი შეადგინეს ოთხი კაცისაგან, რომელმაც საბჭოების უფლება უნდა დაიცვას კონტრ-რევოლიუციონურ იერიშებისაგან; სამხედრო ოლქებში ბრძანება, გაცემული, რომ არავითარი განკარგულება აასრულონ, გარდა საგანგებო შტაბის წევრთა ბრძანებისა—ბონჩ-ბრუევიჩის, ბლაგონრავოვის და თავრიდის სასახლის კომენდანტის გრიგოროვსკის.

თავრიდის სასახლეში მოვიდა ბულატი და განაცხადა, რომ ლიტეინი პროსპექტის და ფურშტადტის ქ. კუთხეში მანიფესტანტებისა და წითელრაზმელებს შორის შეტაკება მოხდა. მანიფესტაცია თავრიდის სასახლისკენ მიეშურებოდა, ხოლო წითელ-რაზმელებმა შეაჩერეს ის. რადგან მანიფესტანტები წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ, წითელ რაზმელებმა სროლა აუტეხეს. მრავალია მოკლული და დაჭრილი. ბულატი ამბობს, რომ მან ქუჩებში ნახა სისხლი და სხეულის ნაწილები.

**თავრიდის სასახლესთან**

მიუხედავად წითელ-რაზმელების სასტიკი წინააღმდეგობისა ს.-რევოლიუციონერების ფრაქცია მთელის თავისი შემადგენლობით მოადგა თავრიდის სასახლეს და შესვლას აპირებდა, მათ ძალით გადააყენეს დარაჯები და შეიჭრნენ დარბაზში. ამ დროს გრანატებით შეიარაღებული მეზღვაურები მოვიდნენ და სისხლის მღვრელი შეტაკება იყო მოსალოდნელი. მაგრამ ჩერნოვმა შეაჩერა დამფ. კრების წევრები და არწმუნებდა მათ, რომ არ გაემწვავებინათ მდგომარეობა და განეწყობილება ჯარის-კაცებთან, რომელთაც არ ესმიან, რას შვრებიან და რომელნიც ვითომდა სახალხო მთავრობის განკარგულებას ასრულებენ,

**დამფუძნებელი კრების გახსნა.**

ფრაქციათა ოთახებში თათბირი სწარმოებს. იხსნება დამფუძნებელი კრება. ესერები წინადადებას იძლევიან თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატთაგან უფრო ხნიერი. ბოლშევიკები ამბობენ—ყველაზე უფრო ახალგაზრდა ავირჩიოთ, ხმაურობა და სტვენაა. უწესობა და ხმაურობა კრებაზე თანდათან ძლიერდება. ხმის უმეტესობით ირჩევენ თავმჯდომარედ ჩერნოვს, რომელიც თავის სიტყვაში იმ აზრს ატარებს, რომ დამფუძნებელი კრების ღირსებას დაიცავს და წინადადებას იძლევა კრებამ აირჩიოს მდივნები. ბოლშევიკები დაცინვით ამბობენ: აირჩიეთ კერენსკიო. ჩერნოვი არ უპასუხებს. ასახელებენ მდივნად ვიშნიაკს.

**პირველი სხდომა**

ლაპარაკობს სიზდვაო საქმეთა კომისარი დიბენკო. ის ამბობს: ჩერნოვი აქ წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით პატივისცეთ რევოლიუციის ბრძოლაში დახოცილთა ხსოვნას. ბალტიის ფლოტის სახელით მე ვაცხადებ, რომ ვუგზავნიდით-რა წყევა-კრულვას კერენსკის, ჩვენ ვიღუპებოდით რევოლიუციაში. ჩვენ ვსცნობთ მხოლოდ საბჭოს მთავრობას, რომ ჩვენს მხარეზეა მთელი შეიარაღებული ძალა.

შტეინბერგი, რომელსაც მარცხნიდან ტაშის კვრით შეხვდნენ, ამბობს, რომ რევოლიუცია ეს არის იწყება. პროგრამა უკვე შემუშავებულია, რაც ხალხმა უკვე მიიღო. ეს არის საბჭოთა მთავრობა, რაც უკვე ცხოვრებაში ხორცს ისხამს—ყოველ დღე, ყოველ საათში ძლიერდება ეს მთავრობა. იხსენებენ აქ მიწას, ზავს, მუშათა კონტროლს. ეს რევოლიუციის ღირსების შეურაცხყოფაა. ყველა ეს ხალხმა უკვე იცის, ცხოვრებაში ახორციელებს. უკეთუ დამფუძნებელი კრება თავს რაცხს მშრომელი ხალხის ნების აღმასრულებლად, მის წინ ერთად-ერთი გზაა—სცნოს ხალხის ნება, რაიც განმარტებულია საბჭოთა პროგრამაში. დამფუძნებელი კრება რუსეთის ბატონ-პატრონი არ არის და არც შეუძლია იყოს ხალხის წინააღმდეგი, მან უნდა ქედი მოიხაროს ხალხის ნების წინაშე და არ გადასცდეს საბჭ. პროგრ. უკეთუ დამფუძნებელ კრებას ეს პროგრამა არ მოსწონს, უკეთუ აქ დამფუძნებელ კრებას საბჭოებთან უთანხმოება მოუხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ დამფუძნებელი კრება არა თუ ემორჩილება ხალხის ნებას, არამედ მას სურს ხალხზე გაბატონება. ამიტომ მემარცხენე ესერების ფრაქცია წინადადებას იძლევა უპირველესად კრებამ განიხილოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული პროგრამა, ნუ იქნება გამოყოფილი ცალკე კითხვები, მათ შორის, საკითხი მთავრობის შესახებ. ცენტრ. აღმას. კომ. პროგრამა მთელი რუსეთის რევოლიუციის პროგრამაა, თითოეული კითხვა ამ პროგრამის ბრძოლის ყურანაა. ამ პროგრამის დევიზია,—ბრძოლაში მოიპოვებ შენს უფლებას. მიღებულ იქნა წინადადება ორატორთა სიის დახურვის შესახებ.

წერეთლის ტრიბუნაზე გამოჩენა ცხარე ტაშისცემით შეხვდნენ ცენტრში და მარჯვნით. მარცხნიდან სტვენითა და ყვირილით: „ძირს".

წერეთელს დიახ ნს არ აძლევენ ლაპარაკის საშუალებას, იმდენ დ ძლიერია ხმაურობა. ჩერნოვი წინადადებას აძლევს ბოლშევიკებს ნუ ხმაურობენ და ნურც ისეთ მდგომარეობაში ჩაიყ ნიათ, რომ სიჭირო დარჩეს სხვა ზომების მიღებამ. აბა, შენჯით, თუ შეძლოთ. თქვენი დრო წასულია, უმა უხებს მას კრილენკო. მიუხედავად ხმაურობისა ბოლშევიკებმა მოისმ ნეს წერეთლის სიტყვა, რომელიც ერთი საათი გაგრძელდა. წერეთელმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბოლშევიკების მოქმედება და აღნიშნა, რომ ბოლშევიკების მოქმედება უმთავრესად მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ იწვევენ არჩეული წყობილების კრიტიკას, რომელიც მი ჩნიათ დრო მოქმედად, მაგრამ მათ არავითარი შემოქმედებითი მუშაობა ჯერ არ გამოუჩენიათ და თვით ბოლშევიკებსაც საეჭვოდ მიაჩნიათ მათ მიერ არჩეული გზა. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მიუხედავად მათი დამოკიდებულებისა დამფუძნებელი კრებისადმი, ისინი მაინც მ მ რთავენ ამ კრებას და მოელიან მისგ ნ მათი ნალაწის დ სტურს. მ გრ მ რადგან დამფუძნებელი კრება მოწვეულია, ის უნდა გ ხდეს სრულუფლებიან დ წესიერულად მხოლოდ დ მფუძნებელ კრებას ეკუთვნის მთელი რესპუბლიკის ძალა უფლებათ. სიტყვის შემდეგ წერეთელმა გამოაცხადა მ ნშევიკების სახელით დეკლარაცია

კუმპიენსკი აცხადებს, რომ ის ესერების ფრაქციის სახელით ლაპარაკობს როცა მას ეკითხებიან, რომელი ესერებისა, ის უპასუხებს, რომ იცის მ ნ ესერების მხოლოდ ერთად ერთი პარტია.

მემარჯვენე ესერები წინადადებას იძლევიან დღის შემდეგი წესრიგისას: ზავი, მიწა, სახ ლმწიფოს მმართველობის ფორმა. სახელმწიფოს მიერ წ რ მოების მოწესრიგება და სასურსათო საკითხი.

ბოლშევიკების და მემარცხენე ესერების ფრაქციის წარმომადგენლები საკითხის ასე დაყენებაში ხედავენ დამფუძნებელი კრების უმრავლესობის მიერ ცენტრალური აღმ სრულებელი კომიტეტის დეკლარაციის განხილვის უარყოფას და მოითხოვენ კრების ერთი საათით შეწყვეტას. შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად, მემარცხენე ფრაქციების ... ზაურ-ხმაურობაში, რომლებიც მოითხოვენ კრების ორი საათით შეწყვეტას, კრება სწყდება ნახევარი საათით. კრების შეწყვეტა თვით ეს თათბირი მეტის მეტ აღელვებულ ხასიათს ღებულობს. როცა სხდომა განახლდა, მას არ დასწრებიან ბოლშევიკები და მემარცხენე ესერების ფრაქციები, ამის შემდეგ ისინი სხდომის დარბაზში აღარ გამოცხადებულან.

ხუთშაბათის რიგის გარეშე ლაპარაკობს პეტროგრადის ქუჩებში მომხდარი მანიფესტაციების შესახებ.

შემდეგ ლაპარაკობს მემარჯვენე ესერების წარმომადგენელი ზავის შესახებ მთელი ერთი საათის გან ვლობაში. მისი აზრით აუცილებლად ზომები უნდა იქნას მ ღ ბული ზავის ჩამოსაგდებად ეს ზომები შემდეგში უნდა გამოიხატოს: უნდა შედგენილ იქნას კომისია მოლაპარაკების საწარმოებლად. შემუშ ვებულ იქნას მიმართვა მოკავშირეთადმი, და ფუძნებელმა კრ ბამ თავის ხელში უნდა აიღოს მოლაპარაკების საქმე, რათა მისი მუშაობა სწარმოებდეს არა სეპარატიული, არამედ საყოველთაო ზავის გზით, მოწვეულ იქმნას სოციალისტური კონფერენცია სტოკჰოლმში და მოკავშირეთა კონფერენცია პარიზში.

უკრაინელი ესერების სახელით რიგს გარეშე ლაპარაკობს ესერი ოდეცკი. ის აქვეყნებს უკრაინულ ეაზე დაწერილ დეკლარაციას. დეკლარაციის რეზოლიუციას კითხულობს რუსულ ენაზე. ის მოითხოვს რათა დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქმნას ყოველგვარი სამხედრო მოქმედება უკრაინაში, როგორც სახალხო კომისარების, ისე გენერალური სეკრეტარიატის მხრით, რომ დამფუძნებელი კრება შეუდგეს რუსეთის რესპუბლიკის მოწყობას ფედერატიულ საფუძველზე, რათა ზავის ჩამოგდება და აგრეთვე საზავო წინასწარი მოლაპარაკება სწარმოებდეს რუსეთში მოსახლე ყველა ერების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

გლეხთა ჯგუფის სახელით ლაპარაკობს მარტინი, რომელიც მოითხოვს დამფუძნებელი კრებისაგან ხელი მიჰყოს ზავის და მიწის საკითხების გადაჭრას.

მუსულმანთა სოციალისტური ფრაქციის თავჯდომარე ამბობს, რომ კერენსკიმ ვერ გაამართლა ხალხის იმედები, მაგრამ ვერც ახალი მთავრობა გამოდგა ღირსეული, მან სისრულეში ვერ მოიყვანა ნაციონალური თვით-გამორკვევის საკითხი. დასასრულ მან გამოაცხადა დეკლარაცია.

გრიგორიევი. ტომსკის ერთა ჯგუფის სახელით მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩამოაგდონ ზავი თუნდაც სეპარატიული.

ლატიშთა ფრაქციის წარმომადგენელი მოითხოვს კურლანდის თავისუფალ თვითგამორკვევას.

ლეგონჩი. ებრაელ პროლეტარიატის სახელით მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩამოაგდონ ზავი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევით.

# ბოლშევიკების დეკლარაცია.

მ. და ჯ. კ. საბჭოების ცენტრ. კომ. სახელით ბოლშევიკებმა შემდეგი დეკლარაცია წაიკითხეს.

**მშრომელი, გაყვლეფილი ხალხის უფლებათა დეკლარაცია.**

ცენტრ. აღმ. კომიტეტი აქვეყნებს შემდეგ ძირითად დებულებებს: დამფუძნებელი კრება ადგენს: 1) რუსეთი ცხადდება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა რესპუბლიკად. მთელი ძალა უფლება როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ გადადის ამ საბჭოების ხელში; 2) საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის შეწყობით, როგორც ფედერაცია ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკებისა; 3) მიზნად ისახავს მოსპობას ყოველგვარ ყვლეფისა ადამიანისა ადამიანის მიერ და სრულიად მოსპობას საზოგადოებრივ კლასებად დაყოფისა, უმოწყალოთ დატუქსვა მყვლეფელთა, საზოგადოების სოციალისტურ ორგანიზაციებში გარდაქმნა და სოციალიზმის გამარჯვება ყველა ქვეყნებში ამას გარდა, დამფ. კრება ადგენს: მუხ. 1. მიწის სოციალიზაციის განხორციელება, კერძო საკუთრება უქმდება, მიწის მთელი ფონდი ცხადდება საერთო სახალხო კუთვნილებად და გადაეცემა მშრომელთ გამოუსყიდველად მიწის გამათანასწორებელი სარგებლობის საფუძველზე; მუხ 2. დადასტურებულ იქნას საბჭოთა კონტროლი, მუშათა კონტროლი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, რათა გაერთიანებულ იქნან მშრომელნი მყვლეფავთა წინააღმდეგ, ის იქნება პირველი ნაბიჯი ფაბრიკების, ქარხნების, მადნების, რკინის გზების, წარმოების სხვა საშუალებათა, ტრანსპორტის საქმის მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის საბჭოების ხელში გადასასვლელად; მუხ. 3 დადასტურებულ იქნას ყველა ბანკების მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ხელში გადასვლა. ეს იქნება ერთი პირობათაგანი მშრომელთა კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისა; მუხ. 4. რათა მოსპობილ იქნას მუქთახორათა წრეები, მათი საზოგადოებანი და ორგანიზაციები, მეურნეობაში მყარდება შრომის საყოველთაო ბეგარა; მუხ. 5. რათა უზრუნველყოფილ იქნას სრული ძალა-უფლება მშრომელი მასის ხელში და რომ საშუალება არ მიეცეს მყვლეფავთა კლასებს ძალა უფლების ხელში ჩაგდებისა, დეკრეტის ძალით უნდა აღიარებულ იქნას მთელი მშრომელთა შეიარაღება, უნდა შესდგეს სოციალისტური წითელი არმია მუშებისა და გლეხებისაგან და უნდა იარაღი აეყაროს შეძლებულ კლასებს. შეურყევლად აღიარებს რა იმ ნაბიჯს, რომლითაც კაცობრიობა უნდა გამოგლეჯილ იქნას ფინანსიური კაპიტალის და იმპერიალიზმის კლანჭებისაგან, რომელმაც სისხლით მორწყო დედა-მიწა ამ უმდიდრეს ომში, დამფუძნებელი კრება ერთხმად უერთდება საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ პოლიტიკას, საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას, მუშათა და გლეხთა დაძმობილების ფართო ორგანიზაციის მოწყობას მებრძოლ სახელმწიფოთა ჯარებს შორის და რაც არ უნდა დაჯდეს, რევოლიუციონური საშუალებით, დემოკრატიული, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მიღწევას ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე ამ მიზნით დამფუძნებელი კრება მოითხოვს სრულიად გაწყვეტილ იქმნას კავშირი ბურჟუაზიული ქვეყნების ბარბაროსულ პოლიტიკასთან, რაც დამყარებულია აზიაში მილიონობით მცხოვრებ მშრომელთა დამონავებაზე, საერთოდ ახალშენებში და პატარა ქვეყნებშიც. დამფუძნებელი კრება მიესალმება სახალხო კომისართა პოლიტიკას, რომელმაც აღიარა ფინლიანდიის სრული დამოუკიდებლობა, დაიწყო სპარსეთიდან ჯარების გამოყვანა, გამოაცხადა სომხეთის თვითგამორკვევის თავისუფლება. საბჭოთა მთავრობის კანონს მეფის მთავრობის მიერ აღებული ვალების გაუქმების შესახებ დამფუძნებელი კრება უცქერის როგორც პირველს ისარს საერთაშორისო ფინანსიური კაპიტალის გულში ჩასობილს, რომ საბჭოთა მთავრობა წავა ამ გზით საერთაშორისო მუშათა აჯანყების სრულ გამარჯვებამდე კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ. დამფუძნებელი კრება არჩეულია პარტიათა სიების საფუძველზე ოქტომბრის რევოლიუციამდე, როცა ხალხს არ შეეძლო მასიურად აჯანყება მყვლეფელთა წინააღმდეგ, ხალხმა არ იცოდა, თუ როგორ წინააღმდეგობას გაუწევდნენ მყვლეფელთა კლასები თავიანთი პრივილეგიების შესანარჩუნებლად, ამიტომ ხალხს ხელი არ მოუკიდია პრაქტიკულად სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად, ამიტომ მან (დამფუძნებელმა კრებამ) ფორმალური თვალსაზრისითაც კი უ'ამართლოდ უნდა მიიჩნიოს, დაუპირდაპიროს თავი საბჭოთა მთავრობას. დამფუძნებელი კრების აზრით ახლა, როცა გადამწყვეტი ომი სწარმოებს ხალხსა და მყვლეფავთა შორის, არავითარ მთავრობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, გარდა მშრომელთა მასის მთავრობისა ძალა-უფლება უნდა ეკუთვნოდეს სრულიად განსაკუთრებით მშრომელთა მასას—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას. სცნობს რა საბჭოთა მთავრობას დამფუძნებელი კრება, სცნობს ის აგრეთვე სახალხო კომისართა მიერ გამოცემულ დეკრეტებს და აღიარებს საზოგადოების სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას საერთო სადავო დებულებებს, ამასთან ერთად მიისწრაფვის რა შექმნას ნამდვილი თავისუფალი და ნების ყოფით სრული და მტკიცე კავშირი რუსეთში მცხოვრებ ყველა ერების მშრომელთა კლასებისა, დ მფუძნებელი კრება საზღვრავს მხოლოდ ძირითად საფუძვლებს საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციისა—ნებას აძლევს რუსეთში მცხოვრებ ყველა ერთა მუშებს და გლეხებს მიიღონ დამოუკიდებლად თავის სრულ უფლებიან საბჭოთა ყრილობაზე,—სურს თუ არა მათ ან რა საფუძველზე ფედერატიულ მთავრობაში და დაწესებულებებში მონაწილეობა.

ზემო მოყვანილი დებულებები უნდა წაკითხულ იქმნას საბჭოთა მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან და საფუძვლად უნდა დაედოს დამფუძნებელ კრების მუშაობას.

# ზავის გარშემო

**შეიდემანის აზრი ზავზე.**

შვედური გაზეთის კორესპონდენტი გადმოგვცემს თავის საუბარს შეიდემანთან. კითხვაზე—ახლოა თუ არა ზავი რუსეთთანო, შეიდემანმა უპასუხა: „ზავის დაჩქარებას ხ ლს უშლის ის გარემოება, რომ რუსეთის სოციალისტურ პარტიებს შორის დიდი განხეთქილებაა და მთელი რუსეთი სამოქალაქო ომის ცეცხლითაა მოცული. არც იურიდიულად, არც პოლიტიკურად რუსეთში მტკიცე ბაზა არ არის, რომელზ დაც გერმანიას შეძლება ჰქონდეს რთული საქმის გაკეთება, თუნდაც სეპარატიული ზავის შეკვრაც.

**„თვითგამორკვევა“.**

29 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში, როდესაც რუსეთის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ დაპყრობილ ადგილებს მინიჭებოდა თვითგამორკვევის უფლება, ჰოფმანმა უპასუხ: როდესაც გერმანიის ძლიერ მოსილი ლაშქარი რუსეთის ტერიტორიაზე სდგას, სასაცილოა რუსების მხრივ თვითგამორკვევაზე ლაპარაკი იმ დროს, როდესაც ბოლშევიკების მთავრობა განსაკუთრებით უხეშ, ტლანქ ძალას ეყრდნობა,

**დაპყრობილი ადგილები.**

ჰოფმანმა განაცხადა, რომ დ პყრობილ ადგილებს რუსეთისაგან ჩამოშორება ჰსურთო. მან სთქვა, რომ კურლანდიის სეიმმა მიმართა გერმანიას და სთხოვს მფარველობას. ლიტვის სეიმი მიისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ. რიგის მუნიციპალიტეტმა და რიგის მიდამოების წარმომადგენლებმა გერმანიის მფარველობას მიმართეს; დასასრულ კუნძულები ეზელი, დაგო და მიონი უარს ამბობენ რუსეთთან დარჩენაზე. ამას გარდა ტექნიკურ და ადმინისტრატიულ მიზ ზების გამო, გერმანიის უმაღლესი მთავრობა უარს ამბობს კურლანდიის, ლიტვის, რიგის და რიგის კუნძულების განთავისუფლებაზე.

**უკრაინის რადა.**

უკრაინის ცენტრალურმა რადამ უკვე დაიწყო საზავო მოლაპარაკება ცენტრ. სახელმწიფოების მთავრობებთან.

**საზავო მოლაპარაკების შეწყვეტა.**

კიულმანმა წინადადება შეიტანა შესწყვეტოდ მოლაპარაკება, რათა გერმანიას საშუალება მიეცეს შეეკითხოს თავის მოკავშირეებს. ამის გამო კომისიის სხდომები შეწყდა გამოურკვეველი ვადით.

# მეორე რევოლიუცია

**„პოგრომი“**

მოსკოვში ცნობები მიუვიდათ, რომ ახალი წლის ღამეს, ზარანში საკომერციო დაწესებულებათ პოგრომი დაიწყო, ბაზარი განადგურებული და გადამწვარია. „პოგრომი“ კერძო სახლებზეც გადავიდა: არბევენ და აწიოკებენ. მცხოვრებლებზე ძალ-მომრეობას ხმარობენ.

**პურიშკევიჩის გასამართლება**

ბოლშევიკების სარევოლიუციო ტრიბუნალმა პურიშკევიჩს 4 წლის საზ. მუშაობა მიუსაჯა. განაჩენში თანაც დასძინეს რომ ის შეიძლება ერთი წლის შემდეგ განთავისუფლდეს, თუ ამ ხნის განმავლობაში ეს კონტრ-რევოლიუციონურ მისწრაფებას არ გამოიჩენს.

**თავდასხმის მოწყობა ლენინზე.**

პეტროგრადის მუშ თა დეპ. საბჭოს სხდომაზე ზინოვიევი ამტკიცებდა რომ, ლენინზე თავდასხმა მოამზადეს გაზეთებმა, რომელთაც სათავეში უდგა „ვოლია“ და „დელო ნაროდა“, ზინოვიევის განცხადება უსაფუძვლოდ ჩასთვალა ყველა პარტიების წარმომადგენელმა გარდა ბოლშევიკებისა.

**გაზეთების დახურვა.**

დახურეს პეტროგრადის გაზეთები „დენ“ და სემიონოვსა და პრეობრაჟენის პოლკების „სერაია შინელ“ და „ეხო“.

**სიმშილობა პეტროგრადში.**

საოლქო სასურსათო გამგეობამ პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „პეტროგრადის გუბერნიას სიმშილის საშ ნელი წუთები მოელის. პური სრულებით არ არის, ერთი კვირის განმავლობაში ერთი ვაგონიც არ მოსულა. დეკემბრის განმავლობაში სულ 19 ვაგონი მიკიღეთ იმ დროს, როდესაც ნახევრად სიმშილობაშიც 500 ვაგონია საჭირო. ქალაქების, ფაბრიკებისა და ქარხნების მცხოვრებლები განადგურების მოლოდინში არიან.

პეტროგრადის სასურსათო კომიტეტი თხოვნით და მუდარით მიმართავს ყველას: საჭიროა დაუყოვნებლივ გამოგზავნოს აქეთ რამოდენიმე მატარებელი პურით. უმორჩილესად გთხოვთ ყველაფერი ჩაყაროთ ვაგონებში და გამოგზავნოთ! ხორბალი, ქერი, ცერცვი და სხვა, და შეგვატყობინოთ ვაგონების დუბლიკატების ნომრები.

**პეტ. სასურსათო კომიტეტი.**

# ახალი ამბავი

✦ **კავკავის ქართველ კოლონიის დეპეშა.** საქართველოს ეროვნულ საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო კავკავის ქართველ კოლონიისაგან: „კავკავის ქართველთა ახალშენს სასიკვდილო საფრთხე მოელის ოსთა და ყაზახთა შეტაკების გამო ერთის მხრივ და მეორე მხრივ ინგუშთაგან, რომელთაც ერთმანეთს შორის ნამდვილი ომი გააჩაღეს. აუცილებლად საჭიროა საშუალება მიეცეს ქართველებს ყაზბეგამდის მაინც დააღწიონ თავი. ამ მიზნით საჭიროა ტელეფონით დაელაპარაკოთ ოსთა და ინგუშთა ეროვნულ საბჭოებს, მთიულთა მთავრობას ქართველთა შეუფერხებლად გატარების შესახებ და ყოველივე ზომის მიღება მათი სიცოცხლის და ქონების დასაცავად. საჭიროა აგრეთვე საქონლის ავტომობილების მოშველება, რაც შეიძლება მეტი რიცხვი, ქართველთა გადმოსაყვანად რადგან აქ არ მოიძებნება არავითარი ჩასაჯდომი. ეს ავტომობილები უნდა გამოიგზავნოს სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ პატრონების ბურდულისა და ი. მაჰვარიანის განკარგულებაში დარიალში გთხოვთ გამოგზავნოთ ქართული ჯარის ნაწილები.

✦ **არეულობა კავკავში.** კავკავში უწესობა და არეულობა გრძელდება. დამწვარია სატუსაღო. ტუსაღები გამოვიდნენ და გაიქცნენ. გენერალი პოლოვცევი კისლოვოდსკში წავიდა. სასტიკი ბრძოლაა ყაზახებსა და ინგუშებს შორის ჯერ-ჯერობით გამარჯვებული ყაზახები არიან. არეულობა უკვე მეხუთე დღეა გრძელდება მრავალი კერძო სახლია განადგურებული. სრულიად დარბეულია ედიგაროვების სავაჭრო სადგური.

✦ **მასწავლებელთა გაფიცვა.** ფოთიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ყველა მასწავლებელს და მასწ. ორგანიზაციებს. დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ფოთის ფილიალური განყოფილება იანვრის 9-დან გაფიცვას აცხადებს ყველა პირველ დაწყებითი და საშტატო სასწავლებელში ეკონომიურ ნიადაგზე. ორგანიზაციებს ვთხოვთ მხარი დაგვიჭირონ“.

✦ **ქართული წარმოდგენა,** დღეს, 10 იანვარს რეალური სასწავლებლის დარბაზში, ქართველ მოწაფეთა სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: შ. დადიანის 3 მოქ. პიესა „შენი ჭირიმე“ და ყიფიანის 1 მოქ. ვოდ. „დატრიალდა ჯარა“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **ი. გრიშაშვილის მონაწილეობით,** დღეს, 10 იანვარს ქუთაისში გაიმართება დიდი საღამო.

✦ **წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის** გამგე ნ. ძიძიგური გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისდამი რწმუნებულ სასწავლებელში თავისუფალია ორი მასწავლებლის ადგილი; ერთი საზოგადო საგნებისა და მეორეც —სამეურნეოსი; მასწავლებლებს ეძლევათ ბინა, შეშა, ნავთი და ჯამაგირი არა ნაკლებ 210 მანეთისა... მისამართი მცხეთა, წინამძღვარიანთ-კარის სკოლა.

✦ **ქართველ მხედართა რეზოლიუცია.** ქართველ მხედართა ყრილობამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა მიწის საკითხის შესახებ: „მოისმინა რა რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა დელეგატების ყრილობამ მოხსენება მიწის საკითხის შესახებ დაადგინა, რომ ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველ საკითხებში, დღესვე კი გამოცეს მიწის შესახებ დეკრეტი, რომ ჩამოერთვას მიწები სრულიად უფასოდ ყოფილ მეფეს, მის გვარეულობას, ხაზინას, ეკლესია მონასტრებს, მსხვილ მემამულეებს და საერთოდ ყველა იმ დაწესებულებათა და პირებს, რომელთაც მიწა ათასნაირი უსამართლობით დღემდის მითვისებული ქონდათ და გადაეცეს მიწის მუშა ხალხს და მისი მოწესრიგება დღეს დაევალოს მიწის კომიტეტებს.“

✦ **მოწაფეთა კრება.** დღეს, დილის 10 ნახევარ საათზე დანიშნულია მოწაფეთა საერთო კრება, ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

✦ **სომეხ-თათართა თათბირი** დაიწყო სასახლეში.

✦ **მაჰმადიან ქართველთა ყრილობა** გადაიდო.

✦ **ჯარის კაცების საყურადღებოდ.** ერთი კვირაა, რაც ტფილისში გაიხსნა უფასო სასწავლებელი ქართველი ჯარის კაცებისათვის ნავთლუღში. ამ ბედნიერი შემთხვევით შეუძლია ისარგებლოს ყველა მოქალაქემ, ისწავლოს უფასოდ და გაიაროს ექვსი კლასის პროგრამა. ამხანაგებს სთხოვენ ვისაც რამე წიგნები მოეპოვება შემოსწირონ სასწავლებელს. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ ნავთლუღში ქართულ პოლკში.

✦ **პირდაპირი მავთული.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დაამტკიცა პროექტი ქართულ ტექნიკურ სექციისა პირდაპირ მავთულის გაყვანის შესახებ ბათომ—ფოთ—ქუთაის—ტფილისს შუა.

✦ **კახეთის რკინის გზის საქმეების მოსაწესრიგებლად** საქართ. ერ. საბჭოს აღმასრულ. კომიტეტმა ნება დართო შემათანხმებელი კომისია დაარსონ.

✦ **ჯარის მოგროვება.** კიევიდან ეროვნულ საბჭომ ცნობა მიიღო, რომ კიევის ოლქში ქართულ ჯარის შეგროვების და სამშობლოში გამოგზავნის საქმე კარგად მიდისო.

✦ **ხაინგილოში საქმეების მდგომარეობის გამოსარკვევად** საქართ. ეროვნ. საბჭოს აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით იგზავნება შალვა ქარუმიძე.

✦ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს** სასარგებლოდ მოგროვდა 100 მან. წ. ჯ. და კ. ქ. გვაზავებისაგან, 50 მ, ქ. ჯ. და კ. მ. ამირეჯიბებისაგან იმ გვირგვინის ნაცვლად, რომლითაც კოტა აბაშიძის კუბო უნდა შეემკოთ: 50 მ. კ. და ტ. გაბაშვილებისაგან, ს. სარაჯიშვილებისაგან, და ე. ტარიშვილისაგან იმ გვირგვინის ნაცვლად რომლითაც მათ მ. ე. მღალაშვილის კუბო უნდა შეემკოთ. სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

✦ **ხალხოსნ მასწავლებლებს.** ტფილისის გუბერნიის ქართულ სახალხო სკოლებისათვის საჭიროა მასწავლებლები. მსურველთ განცხადება და საჭირო დოკუმენტები უნდა წარადგინონ სკოლების მმართველ კომისიაში. (ნიკოლოზის ქუჩა № 45—47).

✦ **ი გრიშაშვილის საიათნოვა.** ამხ. ის. სტურუა ცალკე წიგნად ბეჭდავს ი. გრიშაშვილის მოხსენებას საიათნოვაზე.

✦ **ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების** გამგეობა ამით აცხადებს, რომ პარასკევს 12 იანვარს ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე სახაიდ „ქმუ ნუკეში“ დანიშნულია საგანგებო კრება. საგანი კრებისა: სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობა.

✦ **ხელოვნების სექციაში.** საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან არჩეულ ხელოვნების სექციამ შეიმუშავა წესდება სექციის გამგებლობის შესახებ და შეადგინა დაახლოვებითი ხარჯთაღრიცხვა. სექციის გამგეობა 5 იანვრიდან შეუდგება თვის მუშაობას.

✦ **ახალი ბანკი.** 7 იანვარს ქართულ კლუბის დარბაზში ამიერ-კავკასიის საშუალო ნაღდების საზოგადოების დამაარსებელთა კრება შესდგა კრებას მოხსენდა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება. როგორც ამ მოხსენებიდან გამოირკვა ამ ჟამად საზოგადოებაში ჩაწერილია სულ 600 წევრი. რომელთაც შეტანილი აქვთ 100 ათასზე მეტი. ამ ბანკს დიდი ნდობა დაუმსახურებია ინტელიგენციის შორის, რომლის ინტერესებისთვისაც უფრო არსდება ეს ბანკი, კრებამ დაამტკიცა როგორც საორგანიზაციო კომიტეტის ისე სარევიზიო კომისიის მოხსენებანი. დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა თუ როდის გაიხსნას ბანკი, გადაწყდა ბანკი გაიხსნას ამ იანვარში.

# საქ. სოც.-ფედ. მეორე თავისუფალი კონფერენცია.

პირველ დღეს ამხ. სამსონ ფირცხალავას მოხსენების შემდეგ „მომენტის და ტაქტიკაზე“ მოხსენება წაიკითხა ამხ. გრიგოლ რცხილაძემ, მთავარ კომიტეტის წარმომადგენელმა ხოლო ცოტაოდნად განსხვავებული მოხსენება ამავე საგანზე წაიკითხა ამხ. თედო ღლონტმა. ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, რომელსაც დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველებს მორიგ საქმეთა განხილვის შემდეგ. კონფერენციამ ყველა აღნიშნულ საკითხზე მიიღო რეზოლიუციები, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ამ დღებში,

დასასრულ მოხდა არჩევნები მთავარ კომიტეტის,

# განჯის დარბევა

განჯის სადგური ბაღებით გარშემორტყმული, დღეს ნანგრევებს წარმოადგენს. სადგურზე ათასზე მეტი მცხოვრებნი სულ დარბეულნი—გაცარცული, ზოგი გაიქცნენ, ზოგნი დაკარგულ ბავშვებს და ცოლებს ეძებენ. მინდვრებში დღესაც ნახულობენ გვამებს. გუშინ ქალაქის საავადმყოფოში მოიტანეს სამი გვამი მათში—14 წლის ბავშვია ცხვირ და ყურებ მოჭრილი. 19—27 დეკემბრამდის ყაჩაღთა შეიარაღებული ბრბო არბევდა განჯის არე-მარეს—განჯიდგან თითქმის ბალაჯარამდის—სადგურები გადაწუგწულია, რაც გადურჩა ყაჩაღთა ბრბოს, მოათავეს სარაყამიშიდგან მომავალ ჯარის კაცებმა. ფრონტიდგან დაძრული ჯარი, ანადგურებს გზაში ყველაფერს—საქონლის მატარებელს სისტემატიურად ამტვრევენ, სადგურზე. ლორებს—ძროხებს ჰკლავენ და თან მიაქვთ რუსეთისკენ.

219 სათადარიგო ჯარის კაცები დაითხოვეს და გზაში სადგურამდის ყაჩაღებმა ბევრს გახადეს შინელები, ცარცვავდენ ქალებსაც.

განჯას გვეწვიენ ტფილისიდგან მინისტრი ა. ი. ჩხენკელი, ვ. გობეჩია, გერ. მახარაძე—მათმა ჩამოსვლამ ნაყოფი მოიტანა, ცოტა სიმშვიდე ჩამოვარდა,

ქ. განჯა ორ ნაწილად გაიყოფება. ხიდს მარჯვნით სომხები სცხოვრობენ. მარცხნით—თათრები,

ორთავე ნაწილს თხრილები შემოავლეს—ყარაულობენ, თითქო ომის ასპარეზზე ვიყვეთ, ემზადებიან ორი მეზობელი—რისთვის, რას იყოფენ, ნუ თუ მუდამ უნდობლობას უნდა ექნეს

ნიადაგი და კატასტროფის მოლოდინში ვიყვეთ.

—

პურს მცხოვრებლებს ¼ აძლევენ სულზე, სპეკულიანტები ყიდიან 1 მ. 30 კ. ალბად ადრიანად მოუმზადებიათ, რომ დამშეულთ სამსახური გაუწიონ. ცხოვრება აუტანელია—ზოგი ძარცვით და ქურდობით შეძენილ საქონლის წყალობით ფუფუნებაში ატარებს დროს, ზოგი კი შიმშილით დაბადების დღეს იწყევლის. უპურობისა გამო ბევრმა რუსობამ მიატოვა განჯა და რუსეთისკენ მიემგზავრება.

## საზოგადოებისადმი მიმართვა

ოცდა ათ წელიწადზე მეტია, რაც მე ვემსახურები საყმაწვილო ლიტერატურას და ავად თუ კარგად მიმყავდა ჟურნალი „ჯეჯილი". არა ერთ თაობას უნახავს ჩემი შრომა და იმათ უნდა დასდონ მსჯავრი, თუ რა სიყვარულით ვეკიდებოდი ჩემ პირმშო შვილს.

ახლა მოვხუცდი, საყმაწვილო ჟურნალის მოთხოვნილებაც გაორკეცდა, დროც ჩვენი სამშობლოსთვის სხვა დგება. საჭირონი არიან უფრო დროს შესაფერნი მუშაკნი და ამიტომ უნდა სიხარულით აღვნიშნო ის პირნი, რომელთაც იკისრეს ახლა ჯეჯილის წაყვანა; ქრისტინე შარაშიძე, ალ. ფაღავასი, ან. ხუტაშვილი (ცქვიტი), ან. რცხილაძე-წუწუნავასი და ნ. ჩაგუნავა გელაშვილისა.

იმედია ეს პირნი, რაკი დადგებიან საქმის სათავეში, პირნათლად გაუძღვებიან ამ მძიმე საქმეს. მე კი თვალების დახუჭვამდის ჩემ საყვარელ „ჯეჯილს" არ მოვაკლებ შველას როგორც ჩემი გამოცდილებით ისე ყოველი ჩემი ძალ ღონით,

ჩემთან ერთად, დასაწყისიდან მხარში მედგნენ, ეკ. გაბაშვილისა და ეფ. მესხისა. ისინი ადრინდელივით „ჯეჯილს" პატრონობას გაუწევენ, და შიო მღვიმელიც, როგორც მუდამ, დაატკბობს თავისი ლამაზი ლექსებით „ჯეჯილის" პატარა მკითხველებს.

**ანასტასია წერეთლისა.**

## ქართველ ქალებს

მოგმართავთ თქვენ ქართველნო ქალებო, არა როგორც ფედერალისტ, ან სოციალ-დემოკრატის, ან ნაც. დემოკრატის, ან რევოლუციონურ პარტიების ქალებს, არამედ, როგორც „დედა-კაცს" ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, დედას ერისას და კაცის უფლება მოსილს და გკითხავთ სად ხართ? რას აკეთებთ? ნუ თუ გძინავთ?! რა დაგემართათ, ნუ თუ არ გესმით ხალხის გმინვა, გოდება და ტანჯვა?! ქვეყანა სისხლით იცლება, უვიცობამ და სიბნელემ მოიცვა ქვეყანა, ილუპება მთელი ქვეყნის ხალხი და ამ საერთო ქვეყანასთან ერთად შენი კოპწია და ლამაზი სამშობლოც, შენი მთელ ქვეყანაზედ განთქმული, ძველად და ახლა, გმირი ერი ნადგურდება, სისხლიდან იცლება შენი ალზრდილი შვილი!

უვიცობაში და სიბნელეში ძმა ძმასა ჰკლავს, დაუნდობლად, უთავბოლოდ, შეუბრალებლად, უმიზეზოდ!.. და შენ ოდესმე გმირო ქართველო დედავ, რომელიც ჟამსა სამშობლოს გაჭირვებისას მებრძოლო და წინამძღოლო ქართველი ერისავ! შენ, ქართველო დედავ! დიდო მოჭირნახულევ შენის სამშობლოისავ, დღეს ფრთებ ჩამოყრილი, უსასოვო, ლაჩარივით სდუმხარ! ნუ თუ აგრე გამოგცვალა ქარმან ჩრდილოისამ?!

ნეტარ არიან ის დრონი, როცა აღფრთოვანებული ქალწული ნინო, ბრძენი თამარ, სათნოებით განბრწყინებული ქეთევან ერს წინ უძღოდნენ, სამშობლოს განსაცდელიდან იხსნიდნენ და მრავალი გაჭირვებიდან გმირულად გამარჯვების ლელო გამოჰქონდათ! ერს ანთავისუფლებდნენ და ამის შემდეგ ტურფა სამშობლოს შვილნი ზეიმსა და ლხინს ეძლეოდნენ!

გავიხსენოთ თუნდა მეფე ერეკლეს დრო, როდესაც მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენს სამშობლოს ლეკნი და სხვა მტერნი, რანაირის თავგანწირვით იბრძვიან ქალები. იგინი ვაჟკაცურად გადაცმულები ებრძვიან მტრებს, რამდენჯერმე ტყვეთაც უვარდებიან, მაგრამ თავიანთი უნარით და მოხერხებით თავისუფლდებიან და კვლავ სამშობლოს კეთილდღეობას სწირავენ თავის სიცოცხლეს. ასეთები იყვნენ გლეხის ქალნი თამრო, მარო და სხვანი...

და ყოველივე ეს გაიხსენე ქართველო ქალო, აამოძრავე შენი გული და გონება და იზრუნე შენი ტკბილი სამშობლოსათვის, კაცობრიობისათვის და ერთა კავშირისათვის!

ქართველო ქალო! ჩაები—საერთო ფერხულში და გასწიე ჰაპანი დიდი, დიდი უნარი შესწევს დედა კაცს, თუ კი იგი გონიერებას არ დაჰკარგავს, არ დაწვრილმანდება!

შენ როგორც დედას, როგორც დას, როგორც მეუღლეს დიდი, დიდი გავლენა შეგიძლიან იქონიო ხალხზედ, შენში დიდი ძალაა და შენ კი არა სარგებლობ ამით?!.

მაშ შორს ყოველივე დამამცირებელნო თვისებანო! აღსდექ ქართველო დედავ, მოიკრიფე ძალ-ღონე, შეერთდით ორგანიზაციულად და გაუძეხ დავრდომილ ერს და ხალხს წინ!..

ამისათვის საჭიროა სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობა, რათა ორგანიზაციულად შეკავშირდნენ ყველანი.

გაუმარჯოს ქართველი ქალის შეკავშირებას და საქმიანობას!

**ან. ახალშენიშვილისა.**

## მოწოდება

**ჟურნალ „განათლების" რედაქციისაგან.**

აწინდელმა ყველაფრის აუტანელმა სიძვირემ დიდს უხერხულობაში ჩააყენა პერიოდიული გამოცემებიც. ეს უხერხულობა ყველაზე უფრო საპედაგოგიო ჟურნალებს დაეტყო, რომელსაც ყოველთვის მცირე მკითხველი ჰყავს. ამ სიძვირისა და საერთო კრიზისის გამო რუსეთში მრავალი საპედაგოგიო ჟურნალ-გაზეთი დაიკეტა.

რასაკვირველია ასეთი ბედი არც ქართულ ჟურნალ „განათლებას" ასცდებოდა, იმ ჟურნალს, რომელიც ათი წელიწადი სრულიად უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს და რომელიც ერთად ერთი ჟურნალია ქართველ მასწავლებელთათვის. მიუხედავად ასეთის აუტანელის მდგომარეობისა „განათლების" რედაქცია და ჟურნალის თანამგრძნობნი აუცილებელ საჭიროებად სცნობენ „განათლების" გამოცემას ორ თვეში ერთხელ მაინც. განცხადებები უკვე დაიბეჭდა გაზეთებში. წლიურად ჟურნალი ეღირება 10 მან. სოფლის მასწავლებელთათვის 7 მანეთი. დღევანდელი ფასების მიხედვით ჟურნალის ორ თვეში ერთხელ 1,000 ც. გამოცემა უნდა დაჯდეს სულ:

| | | |
|---|---|---|
| ქაღალდი . . . . | 5.500 | მან. |
| აწყობა და დაბეჭდვა. | 5,000 | „ |
| დაგზავნა და წვრილ. ხ. | 750 | „ |
| აკინძვა . . . . . | 150 | „ |
| სულ . . . . . | 12,000 | მან. |

აქედან მკითხველმა რომ იმატოს კიდეც სოფლის მასწავლებელთაგან ხარჯის 1/10-იც არ შემოვა, რადგანაც მკითხველთა უმრავლესობა სოფლის მასწავლებლებია, რომელთა ნივთიერი უწყო მდგომარეობა ყველას მოეხსენება. ამიტომ „განათლების" რედაქცია მიჰმართავს ყველა ქართულ დაწესებულებას, შეძლებულთ და ჩვენი ერის განათლებისადმი თანამგრძნობ პირთ, მასწავლებელთა კავშირებს და კერძო პირებსაც შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოგვიჩინონ, რომ ჟურნალმა, რომელიც ათი წლის განმავლობაში თავ-გამოდებით სცავდა ჩვენებურს სკოლებსა და ოჯახებში სად პედაგოგიურს მიმართულებას, ამ განახლების ხანაშიც შესძლოს არსებობა, რომ დროს შესაფერი განათლების სხივი მოჰფინოს ჩვენებურს სკოლებსა და ოჯახებს.

ყოველი წვლილის გამოგზავნა შეიძლება ამ მისამართით: **ტფილისი:** ქართული გიმნაზია, პედაგოგიური საბჭოს, ან ჟურნალ „განათლების" რედაქციის სახელზე.

**ჟურნალ „განათლების" რედაქცია.**

## ახალციხის ამბების გამო

**(წერილი ბორჯომიდან)**

ამ რამდენიმე დღის წინად ქართველ მაჰმადიანთა შეიარაღებულმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს ქალ. ახალციხეს; ს. აწყურიდან მოყოლებული ახალციხემდი გზაში შეიარაღებული მაჰმადიანები იდგნენ და მგზავრთ აჩერებდნენ, აწყურში რუსის ჯარის-კაცებს იარაღი აჰყარეს, ფოსტის განყოფილება დაიკავეს, ხოლო ტელეგრაფის მავთულები კი დასწყვიტეს, რომ ახალციხიდან არაფერი ეცნობებინათ ბორჯომში. პირველმა ამბავმა მაჰმადიანთა მოქმედების შესახებ ბორჯომში დიდი შიში გამოიწვია; ხალხი სახლებიდან ფიცხლავ ქუჩაში გამოიფინა, ყველა ფოსტისკენ მიეშურებოდა ნამდვილი ამბის გასაგებად, მაგრამ ფოსტაში არავითარი ცნობა არ მოდიოდა ახალციხიდან. ყველაზე მეტი აღელვება სომხებს ემჩნეოდათ,—ესენი მიიჭრნენ კომისართან და იარაღი მოითხოვეს,—მათი აზრით ახალციხეში უკვე ხოცვა-ჟლეტა იყო გამართული ალყა-შემორტყმულ მაჰმადიანებს და ახალციხელებს შორის, ამიტომ საჭირო იყო ჯარების გამოწვევა და გალაშქრება მაჰმადიანთა წინააღმდეგ. რასაკვირველია, ბევრმა პროვოკაციული ხმების გავრცელებასაც მიჰყო ხელი, მაგრამ მათ ანგარიშს არავინ უწევდა. მაჰმადიან სოფლებთან მეზობლად მცხოვრები ქართველები აყრილიყვნენ და ოჯახებს ისტუმრებდნენ ქვემო სოფლებისკენ ძალზე შეშინებულნი; მათ დასამშვიდებლად და უკანვე გასაბრუნებლად ყოველი ღონისძიება იქნა ხმარებული, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი არავის დარიგებას ყურს არ უგდებდნენ და შესყიდულებს უწოდებდნენ იმათ, ვინც მოინდომებდა მათ დამშვიდებას.

რამდენიმე სოფლის მამაკაცი ბორჯომში ჩამოვიდა და იარაღი მოითხოვა. ჭორი მრავალი ჩამოჰქონდათ. ამბობდნენ, მაჰმადიანები არსენალს დაეცნენ და იარაღი გაიტანესო, ახალციხის გარშემო მდებარე სოფლები მთლად ააოხრესო; ახალციხის მხრიდან ზარბაზნების სროლის ხმა ჩამოდისო. შიშს დიდი თვალები აქვს და მცირე რამეს აზვიადებდნენ. მალე ტფილისიდან დელეგატები ამოვიდნენ და ახალციხეში გაემგზავრნენ საქმის გამოსარკვევად. ყოველ შემთხვევისთვის გორიდან იქმნა გამოწვეული ქართული ბატალიონი. ახალციხიდანაც მალე ნამდვილი ცნობები ჩამოვიდა: მაჰმადიანებთან მოლაპარაკება სწარმოებდა და საქმე მორიგებით გათავდაო. მაჰმადიანებს მოუთხოვნიათ ან საკუთარი პოლკის შედგენის უფლება მიეცესთ მათ, რომელიც იდგება ქ. ახალციხეში და დაიცავს მშვიდობიანობას, ან ნება მიეცეთ იმსახურონ მე-116 პოლკში; არსენალი უნდა ებარებოდეს ახალციხის ჯარს; უფლება ჰქონდეთ მაჰმადიანებს ახალციხის მაზრის სოფლებში (მაჰმადიანური) იყოლიონ საკუთარი კომისრები, მაჰმადიანთაგან არჩეულნი; დაიჭირონ და გადასცენ მათ ის პირები, რომლებმაც ორი მშვიდობიანი სოფლელი მაჰმადიანი მოჰკლეს ახალციხეში. მაჰმადიანთ აღუთქვეს ზემორე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რის შემდეგ შეიარაღებული რაზმები თავ-თავიანთ სოფლებში წავიდნენ. არავითარ სროლას და მცხოვრებთ აწიოკება-დახოცვას ადგილი არა ჰქონია, პირ-იქით მაჰმადიანებს შეიარაღებული ხალხი მიუჩენიათ განსაკუთრებით სომხის სოფლებისთვის, რომ არავის არაფერი დაეშავებინა მათთვის.

**მახსი გოგია ხმალაძე.**

## ხმა ქართველი მხედრისა

**(წერილი დასავლეთის ფრონტიდან)**

როგორც მოგეხსენებათ ამ რამოდენიმე ხნის წინად ბრძანება იყო უმაღლესი მთავარ სარდლისა ჯართა ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის თანახმად დასავლეთის ფრონტზე უკვე შეუდგნენ აღნიშნულ ბრძანების სისრულეში მოყვანას. ამ მიზნით, აქ შესდგა ყოველ პოლკში რამოდენიმე როტა შემდეგი ეროვნების ჯარისკაცთა: ველიკოროსთა, უკრაინელთა, მუსულმანთა, ლიტოველთა და სხვათა. თუმცა ქართველი მხედრები აქ უმცირესობას შეადგენენ, მაინც მოიპოება საკმაოთ. და, დღეს, არ ვიცით რომელ ეროვნებას მივაკედლოთ თავი. ჩვენს შესახებ არავითარი ბრძანება არ არის—იმიტომ, რომ თითო ოროლა ვართ პოლკში და, [illegible] კაცისგან როტას—და საკუთარ კომანდას ვერ შევადგენთ—[illegible] მდგომარეობაში ვიმყოფებით. [illegible]ლიანობა მოითხოვს ჩვენს კავკასიის ფრონტზე გადაყვანას, საცა უკვე შემდგარია ქართული პოლკები. ამის შესახებ მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩვენს მოძმე სამხრეთ-დასავლ. ფრონტზე მყოფი ქართველ ოფიცერთა და სალდათებს ჰქონდათ კრება, ქ. პროსკუროვში, რომელზედაც გადასწყვიტეს შუამდგომლობა აღეძრათ მაშინდელ დროებით მთავრობის წინაშე ქართველების საქართველოში გადაყვანის შესახებ. დღემდის მთავრობისგან, როგორც გავიგე, არავითარი პასუხი არ მოიპოება აღნიშნულის შუამდგომლობის შესახებ. თვით ამ წერილის ავტორსაც არა ერთხელ მიუმართავს თხოვნით პირადად თუ რაპორტით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის, როგორც მთავარ-სარდლისთვის, ისე სამხედრო კომისარებისთვის, რომელნიც მუდამ უარით მისტუმრებდნენ. შემთხვევით, კიევიდან მიღებულმა ქართულმა გაზეთმა „სახალხო საქმე"-მ გვაუწყა სოც.-ფედ. სამხ. სექციის განცხადება, საცა ქართულ ჯარში სამსახურის მსურველ ქართველ მხედრებს წინადადება ეძლეოდათ შეეტყობინებინათ თავიანთ მისამართები. ვინაიდან უმეტესობა აქ მყოფ ქართველი მხედრების, მოკლებული ვართ ყოველგვარ ქართულ გაზეთს, კარგი იყო, რომ ზემოდ მოყვანილს სამხედრო სექციას პირდაპირ ეშუამდგომლა ყველა ფრონტების მთავარ-სარდლებთან ქართველების ქართულ პოლკებში გასაგზავნად, როგორც მოიქცნენ პოლონელთა, უკრაინელთა და მუსულმანთა საზოგადო ორგანიზაციები, თორემ, უამისოთ, ყოველგვარ ცნობას მოკლებულმა ქართველმა მხედარმა არც კი იცის, რა გზას დაადგეს, როცა მის გვერდით სხვა ეროვნების მხედრები ერთს დროშის ქვეშ ერთდებიან. თუ სხვა ეროვნებისთვის საჭიროა ეროვნულის ჯარის შედგენა. მით უმეტეს საჭიროა ქართველებისთვის, მეტადრე აქ, როცა ქართველმა ჯარის-კაცმა არ იცის რუსული ენა და თავის ლტოლვას და გულის ხვაშიადს ვერავის გაანდობს. ყველასათვის ცხადია, თუ რა დამცირებას რა ტანჯვას და წამებას ითმენდა ქართველი სალდათი მეფეთა დახავსებულს წეს-წყობილების დროს, როცა ის, მომწყვდეული სხვა ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცთა წრეში. ათასნაირ ცემა-ტყეპას და ლანძღვა გინებას ითმენდა გონება დახშულ, და უტიფარს უფროსებისგან. დღეს ყველაფერი გამოიცვალა. დღეს „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნას" საყვარელი მგოსნის არ იყოს, და ჩვენც შეძლება გვაქვს ერთად შევიკრიბნოთ ერთი

## ძველი წეს-წყობილება და რევოლუცია

(შემდეგი *)

უკვე მოვიხსენიე ზემოდ, რომ დღეს რუსეთში, დემოკრატიულ რესპუბლიკის გარდა, არარაზე არ საუბრობენ მაგრამ ცენტრალისტური იქნება იგი რესპუბლიკა, დეცენტრალისტური თუ ფედერატიული. აი რის გარშემო არის ამტყდარი დიდი ცილობა. ვნახოთ ყველა ამ ფორმათა საფუძვლები. სახელმწიფო ხომ თანაზრობაა მთავრობის (როგორც იურიდიული პიროვნების) ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მომენტს შორის (როგორც იურიდიული დამოკიდებულება.) სახელმწიფო—ფორმაა, რომელიც თავისი შემკრებლობითი ძალით პიროვნებისა და საზოგადოების შორის შეთანხმება უნდა მოახდინოს, და კერძო თაოსნობა საზოგადოებრივ მისწრაფებასთან შეარიგოს. და სწორი პოლიტიკური სისტემა რასაკვირველია შედარებით ის არის, რომელიც ყველაზე უკეთესად, ახატავს ამ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა მთავარ აზრს.

[illegible]მე, იმაშია, რომ ცნება **სახელ**[მწიფო] და ცნება **ერი**, აქამდე არ იყო [ნათ]ლად გარკვეული ხეირიანად [რადგ]ანმაც მეცნიერები არეულად [ხ]მარობდნენ ამ ორ სხვა და სხვა [ცნებ]აზე. უმთავრესად კი ერზე ლაპარაკობდნენ, სახელმწიფოს კი ჰგულისხმობდნენ. ამან გამოიწვია ის მოვლენა, რომ სახელმწიფოებრივი მეცნიერება შედარებით გაირკვა. ეროვნული [საკით]ხი კი, ყალბი გაგების წყალობით [დაჩრდი]ლა. სახელმწიფო გამოცხადდა, [საერ]თაშორისო სამართლის ერთეულად [და] ერი კი სახელმწიფომ თითქოს [თავის]ში დაიტია. როგორც დიდმა [illegible]. ეს სხვათაშორის იმპერიალის[ტური] მიდრეკილების შედეგია, და [illegible]ული აზრიც, ამ იმპერიალის[ტური] სფეროდან გამომდინარე, ბევრი [illegible] არა სახელმწიფო ერი, რომელიც [illegible]გომ ნაწილად შედიოდა ამა თუ [იმ] მთავარ ერის სახელმწიფო კარავში. სახელმწიფოებრიობას მოკლებულობა იყო საჭირო, რომ ერი საერთაშორისო კურსიდან ამოღებულიყო, მაგრამ ეს საერთაშორისო კურსი კი არ იყო ნამდვილად, არამედ სახელმწიფოთა შორისო. უნდა კი საერთაშორისო ყოფილიყო, რადგან ერია ბუნებრივი ორგანიზმი და არა სახელმწიფო, დღეს ეს ძველი წარმოდგენა ჰკარგავს ძნ შენელობას, ძველი გაგება იშლება შინ გან წინააღმდეგობით და ერი ხდება უფლება მოსილ სუბიექტად, ჯერ თეორიულად, და ალბად პრაქტიკულადაც ეღირსება განხორციელება. აი, ამ თვალსაზრისით მსურს შევეხო ცენტრალიზმს—დეცენტრალიზმის საკითხს, და შემდეგ, ამ ორი მომენტის შემარიგებელ რამ დასაბამზე, რომელსაც ფედერალიზმი ეწოდება.

პოლიტიკურ ორგანიზაციის, ე, ი. სახელმწიფოს მთავარი ატრიბუტი არის სუვერენიტეტი, ანუ მეუფება, ყოველ სახელმწიფოში. სახელმწიფო საკითხთა განხორციელება და კანონმდებლობის საქმე ეკისრება ადმინისტრატიულ და სასამართლო დაწესებულებებს, რომელნიც სივრცის მიხედვით და მოქალაქის ხასიათით ნაწილდებიან და ასე ჰქმნიან ორ კატეგორიას: ცენტრს და ადგილობრივს. და იმის მიხედვით, თუ რა გვარი დამოკიდებულება არსებობს ამ დაწესებულებათა შორის, იქმნება თვით სახელმწიფო წყობილების სახეც. ისე რომ მმართველობის ორი სისტემა იქმნება ცენტრალისტური და დეცენტრალისტური, ცენტრალისტური ჰქვიან ისეთ წყობილებას, როდესაც ცენტრს აქვს მიკუთვნებული ხელმძღვანელი და საკონტროლო როლი, და ამასთანავე, როცა იგი არის პირდაპირი ზედამხედველი ყველა საერთო და ადგილობრივ საქმეთა, როდესაც საქმეების განაწილება და მართვა ეკისრება ერთ მთავარ დაწესებულებას. ამ ცენტრალურ რამ გამგეობიდან არის დამოკიდებული სხვა და სხვა ოლქობრივი დაწესებულებანი, ოლქობრივი გამგეობის რწმუნებაში შედიან კიდევ სხვა, წვრილი ერთეულები, და ასე იქმნება სახელმწიფოებრივ—იერარქიული რამ კიბე. ყველა დაწესებულება ერთი მეორეს ჰყავს დამორჩილებული, ხოლო ყველა კი ცენტრს ემორჩილება. ადგილობრივ ორგანიზაციებიდან ცენტრისაკენ მიმდინარეობს სხვა და სხვა გვარი მოთხოვნილებები, და ცენტრი კი განაგებს ამის-და მიხედვით, ისე რომ, ცენტრალისტურ სისტემის მთელი რაობა იმაში გამოიხატება, რომ უმაღლეს მეუფების და უმაღლეს ავტორიტეტის არსებობას აღიარებს აუცილებლად. თუმც ადგილობრივ ერთეულებსაც ენიჭებათ თავისუფლება, მაგრამ ეს იმდენად ხდება, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება იერარქიზმის ფილოსოფიას, და რამდენადაც არ მცირდება ცენტრალურ გამგეობის ავტორიტეტი. მთელი მიუღებლობა ამ გვარი სისტემის იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი თავისი ზრდით და განმტკიცებით დიდ საფრთხეს განუმზადებს კერძო პირთა და ერთეულთა თავისუფლებას. რაც უნდა იდეალური იყვეს ცენტრი, მაინც იგი თავისში ფარულად ბიუროკრატიზმს ატარებს, რასაც ჩვენ ვებრძოდით და ვებრძვით კიდეც. ცენტრალიზმი უსათუოდ განდგომას ჰგულისხმობს. ამ გვარ წყობილებაში, საზოგადოებრივი მექანიზმი უსათუოდ მოწყვეტილი იქნება ცხოვრებას, და ყოველგვარი ინდივიდუალური რამ თვისება, სხვისგან გამსხვავებული იქნება დათრგუნვილი ან და ყურად-უღებელი. თუ თითო რამ დადებითი თვისება მოეძებნება ცენტრალიზმს, მაინც იგი ვერ გამოისყიდის იმ სიავეს, რომელიც თან სდევს. იგი მკვლელია ინდივიდუალობისა, კერძო თაოსნობისა, რაც უმთავრესია ცხოვრებაში. იგი ანელებს იმ მთავარ ძალას, რომლისგანაც არის დამოკიდებული ისტორიის გამდიდრება, გალამაზება, და ამასთანავე იგი აქარვებს იმ დანიშნულებას, რომლისთვისაც საზოგადოდ შექმნილია ზიარი ცხოვრების წეს-რიგი ადამიანი კი არ არის საზოგადოებისთვის შექმნილი, არამედ საზოგადოება არის ფორმა, ადამიანის სიცოცხლისთვის წარმომდგარი, საარსებო ბრძოლის გასაადვილებლად. და შეზღუდვა პიროვნებისა არის ბოროტება; ამ ბოროტების საზომი მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია პიროვნების შებორკვა. საზოგადოებრივ ცხოვრების მოსაწესრიგებლად კი ის ფორმაა მისაღები, რომელიც რაც შეიძლება მეტ თავისუფლებას აძლევს პიროვნებას, და რომელიც რაც შეიძლება მეტად არის დაახლოვებული ცხოვრების ნაირ სინამდვილისთან, ამის საწინააღმდეგო არის დეცენტრალიზაცია, ეს სისტემა იმით ხასიათდება, რომ ადგილობრივი დაწესებულებები დამოუკიდებელნი არიან. ცენტრის ორგანოებს მხოლოდ კონტროლი და საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება. ყოველი საქმე აქ ადგილობრივ პირობათა მიხედვით სწყდება ადგილობრივ დაწესებულებების მიერვე. აქ, თავისუფლება პიროვნებისა და სხვა და სხვა ერთეულებისა აღიარებულია რაც შეიძლება მეტად, აქ არ არსებობს ის მთავარი გამგეობა-ცენტრი, რომელიც თავის ავტორიტეტით იმორჩილებს სხვა და სხვა ნაწილებს. დეცენტრალიზაციის დროს ადგილობრივი მოთხოვნილებანი ცენტრისკენ კი არ მიმდინარეობენ, რომ იქ იქმნენ განხილულნი და შემდეგ ან უარყოფილნი ან გადაწყვეტილნი, არა. აქ ყველა ერთეული სრულ უფლებიანად არის გამოცხადებული, და თავის შესახებ ყოველ საქმეს თვით განაგებს. ამა თუ იმ ადგილობრივ ერთეულის ბედ იღბალი ადგილობრივ სწყდება. ეს წესი გაცილებით უკეთესია ამ ერთეულებისთვის, ვიდრე ცენტრალიზმი. რა გინდ კარგად იყვეს ცენტრი მოწყობილი, მაინც ადგილობრივ მოთხოვნილებათა სიღრმე რაობას ვერ ჩასწვდება, და გარე ხელი ვერა დროს ვერ მოაწესრიგებს იმას, რაც თვით მომქმედს შეუძლიან. საზოგადოება, ამ სისტემით მოწყობილი, მეტად არის დამოუკიდებელი, და თავის ინტერესებს როდი სწირავს მსხვერპლად წეს-რიგს. პირიქით, იგი სცდილობს ისეთი წეს-რიგი შემოიღოს, რომლის საშუალებითაც თავის განვითარებას და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას დააყენებს ნაყოფიერ და ადვილ გზაზე. დეცენტრალისტური სისტემა კარგი დარაჯია საზოგადოებისა. იგი იხსნის მხარეს ცენტრალურ მმართველობის მზრუნველობისაგან, რომელიც ხშირად შაბლონს არ სცილდება, და მუდამ სჩრდილავს ადგილობრივ პირობათა სხვადასხვაობას. დეცენტრალისტურ სისტემას სხვათა შორის, აქვს მოქალაქეობრივ აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. იგი აჩვევს ხალხს თავის და-თავად საქმის წარმოებას, და გადააჩვევს იმ მექანიკურ არსებობას, როცა ხალხი ელის ზემოდან ხელის აქნევას, რომ ჩვენებისამებრ ამოძრავდეს. იგი პასუხისმგებლობასაც ანვითარებს მოქალაქეთა შორის, და ასე იქმნება პოლიტიკურ სკოლად. ადგილობრივი მცხოვრებნი ბრმად კი არ უნდა ასრულებდნენ მოწერილ კანონებს, არამედ თვით უნდა იღებდნენ მონაწილეობას ამ კანონთა შედგენაში. ისე რომ ნამდვილი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თავისუფლება მხოლოდ დეცენტრალისტურ სახელმწიფოში შეიძლება. ის თვითმართველობა, რომელსაც ვითომ აძლევს ცენტრალისტური წყობილება, ეს მხოლოდ სახელია, სიტყვა საქმით კი მაინც ცენტრია ყოველივე. ცენტრალისტურ სისტემის თვითმართველობანი რომ ნამდვილნი იყვნენ, მაშინ ხომ ცენტრალიზმი კი არა, დეცენტრალიზმი იქნება. მაშასადამე შეცდომაში არ უნდა ჩავცვივდეთ. მხოლოდ ის უნდა დავიხსომოთ, რომ რაბან ცენტრალისტური სისტემა ადგილობრივ თვითმართველობას აძლევს, ალბად სხვა და სხვაობასაც აჩნევს, და თუ ეს ასეა, მაშ რატომ მაინც ცენტრს ვეთაყვანოთ, როდესაც დეცენტრალიზაცია გაცილებით უკეთესად ასრულებს ხალხთა მოწესრიგების საქმეს. აკი მეცნიერების წარმომადგენლები სახელმწიფოს მოწინავე პირებთან ერთად არკვევენ დეცენტრალიზაციის რაობას, და სცდილობენ კიდეც მის ხორც-შესხმას. თვით ცხოვრებაც ამავ მიდრეკილებას იჩენს, და ცენტრალიზმის იმპერიალისტურ განწყობილებას არ იღებს. ასეთია გაკვრითი სქემა დეცენტრალისტურ წყობილებისა. დეცენტრალიზაცია შეიძლება იყვეს ორგვარი: 1) როცა ადგილობრივი თვითმართველობა მყარდება, და ადგილობრივი წარმომადგენლობით სწყდება საკითხები. ამას ჰქვიან დემოკრატიული დეცენტრალიზაცია. 2) როცა დიდდება კომპეტენცია, ანუ უფლება ადგილობრივ ადმინისტრატიულ ორგანოებისა, თუმც ეს ორგანოები ცენტრის მიერ არიან შექმნილნი. ამგვარი გადიდებული კომპეტენცია ჰქონდათ კავკასიის მეფის მოადგილეს, ასეთივეა კანადის, ავსტრალიის და ახალ ზელანდიის გენ.-გუბერნატორთა და ძველად ჩინეთში, ვიცე-კოროლთა უფლებრივი მდგომარეობა. ეს ბიუროკრატიული დეცენტრალიზაციაა. როგორც დავინახეთ, ცენტრალიზმი,— ერთი მეორის უარმყოფი ცნებებია. არსებობს მესამე თეორია, ფედერატიულ წყობილებისა, რომელიც ამ ორ პრინციპს აერთებს. ფედერალიზმი რთული დუალისტური პოლიტიკური სისტემაა. იქ ცენტრიც არის და ცენტრებიც. როდესაც ცენტრალიზმი ერთ პოლიტიკურ დასაბამს აღიარებს, და დეცენტრალიზმი კი მრავალ-ცენტრიანობას, ფედერალიზმი მაშინ სცდილობს შეარიგოს მმართველობის სხვა და სხვა ცენტრები, და დაამყაროს მათ შორის თანასწორი დამოკიდებულობა. ფედერალიზმის და დეცენტრალიზაციის შორის ის განსხვავებაა, რომ დეცენტრალიზაცია არის გამოსახვა პოლიტიკურ დიფერენციაციას, ანუ დანაწილების, ფედერალიზმი კი პოლიტიკური ინტეგრაციაა ანუ შეკრება საზოგადოებების. ხოლო რაც შეეხება სუვერენიტეტს, ანუ უზენაესობას, ცენტრალიზმის და ცენტრალიზმის დროს სუვერენობა ეკუთვნის სახელმწიფოს ცენტრს, შემადგენელ ნაწილებს კი როგორც ერთეულებს წილი არ უდევთ ამ სუვერენიტეტის შექმნაში. ფედერალურ პოლიტიკურ ორგანიზაციაში კი, სუვერენიტეტი ეკუთვნის არა რაიმე ცენტრს, არამედ ცალკე ავტონომიათა გამგეობას და მათ კავშირს, ორივეს ერთად, ე. ი. ადგილობრივ თვითმართველობის და ამ თვითმართველობათა კავშირის თანხმობა არის სახელმწიფო ცხოვრების მთავარი მომწესრიგებელი. ფედერალიზმი ისეთი პოლიტიკური თეორიაა, რომელიც ამყარებს თანაბრობას ცენტრისგან მსრბოლ საზოგადოებრივ ძალთა შორის. ეს ზოგადი ხაზებია ფედერალიზმის თეორიისა. იგი უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის, როდესაც რუსეთის სინამდვილეს მიუყენებთ.

**ვახტანგ კოტეტიშვილი.**

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „სახ. საქმე" № 140

დედის შვილნი. ეს სასურველია, როგორც საერთოდ რუსეთის კეთილდღეობისთვის ისე ჩვენთვისაც, იმიტომ რომ სულ სხვა არა იყოს რა ჩვენ მაინც უნდა დავიცვათ ახლად მოპოებული უფლებები, თავისუფლება და ეროვნული აყვავება ჩვენი ერისა.

ვ. გორგაძე.

მოწინავე პოზიცია 1917 წ. 20 ნოემბერი.

## ტფილისის განმანაწილებელი პუნქტი

უკვე მეოთხე წელიწადია რაც ქალაქთა კავშირის ზემოხსენებული პუნქტი არსებობს, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ხსენებულ პუნქტის დაარსებაში არ გარევია არც ღმერთი და არც კაცი. განმანაწილებელ პუნქტის სამი წლის არსებობა მხოლოდ ტრაგიზმით არის აღსავსე. ამჟამად აქ არ შევუდგებით დაწვრილებით ამ პუნქტის ისტორიის ვრცლად აღწერას, მაგრამ გაკვრით მისი უბედური არსებობის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია.

როგორც ზევით მოვიხსენიე განმანაწილებელი პუნქტი სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის გამგეობის ქვეშ იმყოფება დღემდე. ყველას მოეხსენება თუ რა თვალსაჩინო სამსახური გაუწია ფრონტს მთელი ომიანობის განმავლობაში ქალაქთა კავშირმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მაგრამ თუ ეს ითქმის საზოგადოდ დასავლეთის ფრონტის შესახებ. უფრო მეტი უნდა ითქვას იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ტფილისის განმანაწილებელ პუნქტს ჰქონდა დაკისრებული მთელი კავკასიის ფრონტისათვის, როგორც ერთად ერთს ზურგის პუნქტს სპარსეთსა და ოსმალეთში მომქმედი ლაშქრისას. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ განმანაწილებელი პუნქტი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა ნაკისრ მოვალეობას, პირიქით, ძალიან ხშირად იგი ღალატობდა მას, მაგრამ ვერ ვიტყვით აგრეთვე, რომ მთელი პასუხისმგებლობა ნაკისრ მოვალეობის კეთილ სინიდისიერად აღსრულებაში მხოლოდ და მხოლოდ მარტო პუნქტს მოეთხოვებოდეს. თუ ხშირად იგი ვერ ასრულებდა პირნათლად თავის დანიშნულებას, ამ შემთხვევაში ბრალი უმეტესად იმ პირთ ედებათ, რომელნიც ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას მოჰქცევიან სათავეში. ვინც კი დაახლოებით იცნობს ქალაქთა კავშირის ცხოვრებას, დარწმუნებული უნდა იყოს იმ მწარე სინამდვილეში, რომ ქალაქთა კავშირმა, ხოლო ყოველ შემთხვევაში კი მისმა კავკასიის ფილიალურმა განყოფილებამ სრულებით ვერ გამოიჩინა ორგანიზატორული ნიჭი და უნარი საქმიანობისა, რომელნიც ასე ნათლად გამოსჭვივიან ერობათა კავშირის ყოველ ორგანიზაციაში. და აი სწორედ მთელი სიმძიმე და სიმწვავეც ამ უხეირობისა და უსისტემობისა თავზე დაატყდა ჩვენს განმანაწილებელ პუნქტს.

ჭეშმარიტად ამ უბედურ დღეზე დაარსებულ პუნქტის არსებობა მოგვაგონებს ავადმყოფ ადამიანის ისტორიას. და თუ დღეს ოსმალეთის დაავადებულ და სასიკვდილოდ გამზადებულ სხეულს მხოლოდ გერმანია შეგნებით სულს უბრუნებს, განმანაწილებელ პუნქტის ასეთი გულშემატკივარიც მალე აღარ ეყოლება და აღირაცხება წიაღთა შინა აბრამისა. ამიტომ იყო, რომ არაერთხელ აღძრულა კითხვა პუნქტის გადაცემისა სამხედრო ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამგებლობაში, მაგრამ რაღაც უცნაური მოსაზრების ძალით ქალაქთა კავშირის ტფილისის კომიტეტი არას გზით არ უშვებს მას თავის ხელიდან.

ეს პუნქტი როგორც ავადმყოფების რიცხვით, აგრეთვე მოსამსახურე ხალხის რიცხვითაც შეადგენს მთელს ერთს მესამედს ტფილისში არსებულ ლაზარეთებისას და ამიტომ იგი არის ნერვი და ტონის მიმცემი ყველა ტფილისის ლაზარეთებისა. ამისათვის აქ მწოლარე ავადმყოფთა და მოსამსახურეთადმი უნდა ყოფილიყო მიპყრობილი უმთავრესად ტფილისის დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა კომიტეტის ყურადღება, მაგრამ ამ მხრივ საარაკოა გულგრილობა კომიტეტისა, ავადმყოფთა მდგომარეობა მაინცა და მაინც ვერ იყო სახარბიელო, მაგრამ მათ ასე თუ ისე ჯერ ისევ ძველი რეჟიმის დროსაც კი აქცევდნენ ყურადღებას, ხოლო რევოლიუციის ხანაში კი თვით ავადმყოფები კისრულობდნენ საკუთარ ინტერესების დაცვას. მხოლოდ მოსამსახურე პერსონალი შეადგენდა და დღესაც შეადგენს საბედისწერო გამონაკლის. მისთვის როგორც წინად, ახლაც სრულიად არ ზრუნავენ. სამართლიანად მათი შრომა და ღვაწლი არასოდეს არ დაფასებულა და არც ახლა ფასდება. მათი მატერიალური მდგომარეობა ვერასოდეს ვერ შეედრებოდა და ვერ შეედრება არამც თუ ერობათა კავშირს, თვით სხვა ორგანიზაციათა მოსამსახურეებისასაც. ამ მხრივ მათი მდგომარეობა პირდაპირ სატირელია და კრიტიკული. და არც ცხოვრების საარაკო გაძვირება და არც სხვა აუტანელი პირობები დღევანდელი ვითარებისა მათთვის არ არსებობს. განა წარმოსადგენი და ნორმალურია ის გარემოება, რომ თვით საშუალო პერსონალის მოსამსახურეც კი, სხვას რომ თავი გავანებოთ, თვეში 90 მანეთს იღებდეს ამ საზარო სიძვირის ხანაში? მაშინ როდესაც ასეთივე თანამდებობის პირი ერობათა კავშირში იღებს თვეში არა ნაკლებ 250 მანეთისა. მაგრამ ეს რაა. თვით ერთი მეხამრით ასეთ მცირე თვიური ჯამაგირისა იძულებულია ტრამვაის ბილეთებში ხარჯოს და მიუხედავად ასეთ უმნიშვნელო სასყიდლისა მოსამსახურენი ამასაც თავის დროზედ ვერ ღებულობენ; ორი-სამი თვის შემდეგ თუ ეღირსებიან მხოლოდ მარტო ერთი თვის ჯამაგირის მიღებას. მაგრამ ამას ჯანი გავარდეს! კიდევ როგორმე შეურიგდებოდა ასეთს მდგომარეობას კაცი, რომ სხვნაირი დახმარებაც ჰქონდეს საიდანმე. მოგეხსენებათ, რომ ყველა დაწესებულება ზრუნავს თავის მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და აწვდის მათ ხელმისაწვდომ ფასებში პირველ მოთხოვნილების საგნებს, მაგრამ ამ მხრივაც განმანაწილებელ პუნქტის მსახურნიც ბედის ანაბარად არიან მიტოვებულნი. მე კი ვფიქრობ, რომ საქალაქო კომიტეტმა დროა ყურად იღოს ყველა ლაზარეთებში მომუშავე ხალხის უმწეო მდგომარეობა და დაუყონებლივ შეუდგეს მათ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას. გადახედეთ ბატონებო საერთო ცხოვრებას და მის კვალობაზე შეუმსუბუქეთ მდგომარეობა ამ მართლადაც მრავალტანჯულ ხალხს. თუ ქალაქთა კავშირს აღარ შესწევს გონებრივი სახსარი თავის დაწესებულებათა გასაძღოლად, მაშინ უმჯობესი იქნება სრულიად შესწყვიტოს მოქმედება. თორემ რას ჰგავს—სამი თვე გადიოდეს და რაღაც ერთი თვის ქეციან ჯამაგირსაც ვერ ღებულობდე. დროა ბოლო მოეღოს ამ უკულმართობას!

ორიოდე სიტყვაც ლაზარეთების დახურვისა და მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ. როგორც მკითხველს გაზეთებიდან მოეხსენება ქალაქთა კავშირი ახურავს თავის დაწესებულებათა ლიკვიდაციის თანდათანობით და ამ მიზნით უკვე რამდენიმე ლაზარეთი დაიხურა და ზოგიც მალე დაიხურება. აქაც ჩვენს თვალწინ ამ მოსამსახურეთა უმწეო მდგომარეობის აჩრდილი ხდებას სამსახურიდან დათხოვნისა გამო! საზოგადოდ მიღებულია და ამას დემოკრატიული წესიც მოითხოვს, რომ როდესაც რაიმე მიზეზისა გამო მუშებს ითხოვენ რომელიმე დაწესებულებიდან ან ფაბრიკა-ქარხნებიდან, მათ ამ შემთხვევაში აძლევენ არა ნაკლებ სამი თვის ჯამაგირისა წინდაწინვე რამდენი ხნის ნამსახურიც უნდა იყოს იგი. ეს დემოკრატიული პრინციპი კი უარჰყო ქალაქთა კავშირმა და მოსამსახურეთ ლაზარეთიდან დათხოვნისას მხოლოდ ორი თვის ჯამაგირს აძლევენ თუ მას წელიწადზე მეტი უმსახურნია, ხოლო თუ ექვსი თვე—ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი თვის ჯამაგირს! თავისთავად ცხადია, რომ ასეთი წესი მოსამსახურეთა დათხოვნისა სავსებით დემოკრატიული ვერ არის. განა რა ჯამაგირს დღეს იღებს ხსენებულ დაწესებულების მსახურთ, რომ ქუჩაში გასვლის შემდგომ ერთი ან ორი თვის ჯამაგირით თავი ირჩინოს ამ საარაკო სიძვირეში ვიდრე ახალ სამუშაოს მოძებნიდეს იგი.

დროა თვით მოსამსახურე პერსონალმა გაახილოს თვალი და თვით იზრუნოს თავის თავზე, თორემ ქალაქთა კავშირის სათავეში და კომიტეტში მოკალათებულთ მათი ბედი და უბედობა ჩირადაც არ ულირთ.

ან-განი.

## მოწერილი ამბები

**ს. [illegible] (შორაპნის მაზრა)** ზემო იმერეთის პატარა კოხტა-ლამაზი სოფელთაგანია. მისი გეოგრაფიული მდებარეობის ცქერა მშვენივრად გაშენებული მამულით და ათასნაირი ხეხილით კაცის თვალს არ მოსჰარბდება. მცხოვრებთა რიცხვი ორმოცდა ათ კომლამდეა, დანარჩენები კი სახნავ სათესი მიწების სივიწროვის ბარობით გადასახლდა გორის მაზრაში. სწავლა-განათლების მხრივ ამ სოფლის მცხოვრებნი სხვა დაწინაურებულ სოფლებს არ ჩამორჩებიან. ცნობის მოყვარეობით გატაცებული ხალხი ყოველ კულტურულ დაწესებულებას აღტაცებით ეგებება წარსული წლის 3 სექტემბრის ახალგაზრდა მოწაფეთა ჯგუფმა. რასაკვირველია, აქაურების დახმარებით, გამართა წარმოდგენა ამ სოფლის წიგნთსაცავ სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოდგენამ წმინდა მოგება 180 მ. დატოვა, რომლიდამაც სამ თუმნამდე ერთდროულ დახმარებად გარდასცეს ჭიათურის ღარიბ მოწაფეს დ. ციცქიშვილს, დარჩენილი 150 მ. სამკითხველოს. გამგეობა ვერაფერს გახდა, რადგან დღევანდელს სიძვირესთან ეს მარტო ორი-სამი გაზეთის ფასია და სამკითხველოს მოწყობისათვის კი გამგეობას არავითარი საშუალება არ ჰქონდა; საქმის მოსაწესრიგებლად მან მოწოდებით მიმართა ყველა იმ პირებს, რომლებიც ამ საქმეს თანაუგრძნობდნენ, მოახდინა კრება 31 დეკემბერს, რომელზედაც საკმაოთ შეიკრიბნენ (ზოგი ოჯახიდამ ორიც კი მოვიდა) და გამართა მოლაპარაკება კრების განაჩენმა და შემოწირულებამ გამგეობა უხერხულ მდგომარეობიდამ გამოიყვანა, მათისავე დასწრებით ხელად დაიქირავა სამკითხველოსათვის სახლი, გამოიწერა ორი გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" და „სახალხო საქმე" და მხნეთ შეუდგა მოვალეობის შესრულებას. დამსწრე საზოგადოებამ სამკითხველოს მომავალშიდაც აღუთქვა დახმარება, თანაც, როგორც საწევრო ფული, ისე ერთდროული დახმარება შემოსწირეს, რაზედაც გამგეობა დიდ მადლობას სწირავს და ერთი ორად კი იმ ოჯახებს, რომლებიდამაც ორ-ორი საწევრო და ერთდროული დახმარება შემოვიდა. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, არ მოგვაკლონ თავისი ყურადღება და გაგვილონიერონ ეს საკეთილდღეო დაწესებულება, გაზეთების გამოწერით იქმნება იგი, წიგნების შემოწირვით, თუ ფულით ყოველი მათი დახმარება მადლობით იქნება გამოცხადებული გაზეთების საშუალებით. ამასთანავე მადლობას ვწირავთ მღ. ქრისტეფორე და მის შვილს გიორგი ციცქიშვილებს რომლებიც წარსულ წელს უწერდნენ სამკითხველოს პირველი „ალიონს" და მეორე „რესპუბლიკას". იმედია წელსაც გაგვიგრძელებენ გაზეთების გზავნას.

ვგზავნი—რა ამასთანავე შემომწირველთა სიას, გთხოვ, მოქალაქე რედაქტორო! მოგვცეთ საშუალება თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ქვევით აღნიშნულ პირებს, რომლებმაც შემოიტანეს: სევერიან ლაბაძემ (მასწავლებელი) 3 მ., იოსებ ვ. გოგალაძემ ხმ. მღ. ვანო ციცქიშვილმა 10 მ., ბესარიონ ციცქიშვილმა 5 მ., იპოლიტე ბლიაძემ 3 მ., ა. ციცქიშვილმა 3 მ., ზაქარია ციცქიშვილმა 3 მ., გიორგი გოგალაძემ 3 მ., ლადიმერ მუმლაძემ 8 მ., თედორე მუმლაძემ 8 მ., ნადეჟდა ციცქიშვილმა 3 მ., აკაკი ამაშუკელმა 3 მ., გრიგოლ წერეთელმა 3 მ., იოველ სებისკვერაძემ 2 მ., კორნელი ოფრომიძემ 3 მ., ალექსი მანჯავიძემ 3 მ., ლადიმერ გოგალაძემ 3 მ., იაკოფ გოგალაძემ 3 მ., ზაქარია დოლიძემ 3 მ., ნიკოლოზ ციცქიშვილმა 3 მ., იასონ ციცქიშვილმა 3 მ., ვანო გოგალაძემ 5 მ., აბესალომ ციცქიშვილმა 8 მ., ლევანტი გოგალაძემ 8 მ., მღ. აბო ციცქიშვილმა 3 მ., ქიმონია ციცქიშვილმა 5 მ., ვასილ ციცქიშვილმა 7 მ., ილარიონ გოგალაძემ 3 მ., და სერგეან ციცქიშვილმა 3 მ. და სრულიად 124 მ.

მდივანი გამგეობისა.

—

**ხაჭამია ხერი.** 17 დეკემბერს შესდგა მორიგი ლექცია სახალხო უნივერსიტეტში ლექცია. წაიკითხა ნინო ჰეჰინაძის ასულმა შემდეგ თემაზე „რვა საათის სამუშაო დღე". ლექცია შინაარსიანი და მდაბიო ენით იყო დაწერილი. მსმენელებმა კარგად გაიგეს შინაარსი და შემდეგ გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც შეკითხვებზე პასუხს იძლეოდა კ. ბერიძე. უფრო აინტერესებდა ხალხს მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ კითხვები.

ლექციის შემდეგ გაიმართა წლიური კრება სამკითხველოს წევრების. დღიური კითხვები იყო წლიური ანგარიში და ახალი გამგეობის არჩევნები. თავმჯდომარედ აირჩიეს კარ. ბერიძე და მდივნად ს. ნიკოლაიშვილის ასული. მოხსენება გააკეთა სიმ. რამიშვილმა. გამოირკვა, რომ წლის განმავლობაში სამკითხველოს შემოსვლია 900 მანეთზე მეტი და მიმდინარე წლისთვის გადარჩა 800 მანეთამდი. კრებამ მადლობა გადაუხადა ძველ გამგეობას, ერთდროული დახმარება (69 მან.) მისცა სამკითხველოს გამგეს მ. ხუნდაძის ასულს და 50 მან. ფოსტის დამტარებელს სიმ. კვინტრაძეს. ამის შემდეგ აირჩიეს ახალი გამგეობა ხუთი კაცისაგან შემდგარი: კარ. ბერიძე, სიმ. რამიშვილი, შოლია ებრალიძის ასული, დიმ. დუდუჩავა, და ს. გუბელიძე. ჩაეწერა ახალი ორმოცდა ათზე მეტი წევრი.

20 დეკემბერს მორიგი ლექციის მაგივრად გაიმართა საუბარი მიწის საკითხზე.

20 დეკემბერს სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ ადგილობრივი ძალების შემწეობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ლეკის ქალი გულჯავარ" და „მათიკოს" მესამე მოქმედება. შემდეგ გაიმართა ვახშამი და ამერიკული ტორლი. წმინდა შემოსავალი 400 მანეთამდი დარჩა. რეჟისორობდა დ. დუდუჩავა და გამგეთ იყო კ. ბერიძე. მონაწილეობდენ: ნ. ჰეჰინაძის ასული, ნ. ხუნდაძის ასული, სილ. და სიმ. ყენია, არ. ხუნდაძე და რ. ყენია. მიუხედავად მოკლე დროისა წარმოდგენას არაუშავდა.

27 დეკ. შესდგა შეერთებული კრება სახალხო უნივერსიტეტისა და სამკითხველოს გამგეობების. გადაწყდა ვინაიდან წერა კითხვის საზოგადოება უკვე გაიხსნა სავამისეროზე, ეს ორივე დაწესებულება დაუქვემდებარონ მას და შეაერთონ გამგეობა. ფუნქციები ასე განაწილდა: თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კარპეზ ბერიძე, მის ამხანაგი სიმ. რამიშვილი, მდივნებად შოლია ებრაელიძის ასული და დიმ. დუდუჩავა, მათ ხაზინადარად ს. გუბელიძე. ბიბლიოთეკის გამგეთ ელენე ხუნდაძის ასული და მოლარედ ლად. ყენია. გადაწყდა იანვრიდან დაიწყონ სისტემატიური მეცადინეობა სახალხო უნივერსიტეტში და გამოაწყონ სახალხო სახლის აგება, რომელიც დაიტევს 1000 კაცს.

კანი.


გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

დავკარგე
პურის ბარათი
პირველ უბნის სასურსათო კომიტეტიდან მოცემული № 80611. გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ. 43

იყიდება სახლი
ავლაბარში, ორსართულიანი 12 ოთახიანი სამზარეულოებით. სახლი ორ ქუჩაზე გადის. სახლი ისეთს ადგილზე არის, რომ აგარაკის მაგივრობას გასწევს—ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების ახლო. სახლს ბანკის ვალი აქვს, იკითხეთ ავლაბარში, მარტყოფის ქუჩა № 22, სახლის პატრონ ქალთან ეზოში. 4

ექიმი
გ. გ. [illegible]
[illegible], კანის, [illegible] და მის შედეგებისა. წამლობს „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფებს [illegible] ყოველ დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-დე. [illegible] ქ. № 33. ტელ. № 16—17. 437

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1059

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. [illegible] ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 2040

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
ლ. დ. ფავლენიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა—[illegible] ახალს რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, [illegible], განსაკუთრებული ნაკადები [illegible] ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., [illegible] ქ., № 28, ტელეფ. № 1—92. 683

ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა [illegible] —3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: [illegible]

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კირპიჩნი ქ., 18, ტელეფონი 11—82.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
ქალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. [illegible] კლინიკის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა,
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1056

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
[illegible]
11—12 ს. „606"-ით „914"
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
[illegible]
1 მან. [illegible]

ტფილისის ებრაელთა პირველ გიმნაზიასთან
რომელიც დაარსებულია ქ. ი. შუსტერის მიერ დიდი ვანქის ქ. 12, 15 ამა იანვრიდან იხსნება
საბუღალტრო კურსები
ორთავე სქესის პირთათვის, თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში 9—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფონი 3—68.
24 გამგე ბ. კ. კრამარენკო.


„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" ორივე ტომი | 6 მ. | |
| ლორთქ. თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I | 4 „ | |
| გრდემლი წ. I | 3 „ | |
| ქართველი მწერლები. | 2 „ | |
| უცხოელის „ | 2 „ | |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა". | — | 60 კ. |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე". | 1 „ | 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო". | — | 40 „ |
| ლორთქ. თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი" | — | 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".


სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს სუფთად, იაფად და თავის დროზე


სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა, სახ. № 14